

F171

1982



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა
და
ინსტრუქციათა
პრებული

თბილისი
1982

თებერვალი № 2 ФЕВРАЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И

ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1982



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1981 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981 სასწავლო წლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში დიდი მუშაობაა გაწეული სახელმწიფოებრივი, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში ფორმალიზმის დაძლევისათვის.

სკოლებისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა დიდმა უმრავლესობამ სრულყოფილი და დახვეწილი სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები, გაატარა საჭირო ღონისძიებები სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ფეხმოდგმული ფორმალიზმისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის. მასწავლებელთა უმრავლესობა სწავლებაში ფართოდ ნერგავდა სიახლეებს, უნარიანად იყენებდა თვალსაჩინოებასა და სასწავლო-ტექნიკურ საშუალებებს, ატარებდა ლაბორატორიულ და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს და აღწევდა მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისებას. ყოველივე ამის შედეგად კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა და განსაკუთრებით მათ ვინც ოქროს მედლით, ქების სიგელებით და წარჩინებით დაამთავრეს საშუალო სკოლა, როგორც გამოსაშვებ, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად და მტკიცე ცოდნა გამოავლინეს.

აღსანიშნავია ამ მხრივ ქ. თბილისის 1-ლი, მე-2, 24-ე, 37-ე, 52-ე, 64-ე, 101-ე, 161-ე, 165-ე. საშუალო სკოლების, კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის, ქ. ფოთის, ქ. გორის, აბოლაურის, ბორჯომის, თელავის და სხვა რაიონების რიგი სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობა.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარებულმა საინსპექტორო შემოწმებებმა, გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა სათანადო მომზადებას მოქმედი სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში კვლავ ადგილი აქვს არაობიექტურობის, ლიბერალიზმის, პროტექციონიზმის, ატენ-

F-4942

მ. შარაძის სახ. სახ. ახალშვიფო
6.53 კლ. 360

ტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდისათვის საბოლოო შეფასებების შეგნებულად არასწორი გამოყვანის შემთხვევებს. რიგ სკოლებში გამოსაშვებ გამოცდებზე ადგილი ქონდა საგანმოცლო ინსტრუქციის უხეში დარღვევის ფაქტებს. პედაგოგიურ კოლექტივებში კვლავ გვხვდებიან ცალკეული პიროვნებები, რომლებიც უფრო მეტს ზრუნავენ ხუთოსან და მედალოსან მოსწავლეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდაზე, ვიდრე მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებაზე, მათში ლოგიკური აზროვნების ფორმირებასა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ამის შედეგია ის, რომ გამოსაშვებ წერით გამოცდებზე კვლავ ადგილი ქონდა მოსწავლეთა, და მათ შორის ოქროს მედლის კანდიდატთა, მიერ „შპარგალკებით“ სარგებლობის მცდელობის შემთხვევებს. იშვიათად, მაგრამ მაინც სერაიოზული დარღვევები გამოვლინდა სასკოლო დოკუმენტაციისა და განსაკუთრებით, საშუალო განათლების ატესტატების წარმოების საქმეში!

ზემოაღნიშნული და სხვა უხეში დარღვევები გამოწვეულია იმიტომ, რომ სკოლების სამმართველოს ცნობაში მითითებული რიგი სკოლები და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა ვერ შეძლეს სათანადო წესრიგის დამყარება მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასების საქმეში.

არასაკმარისად იბრძვიან მასწავლებელთა და მოსწავლეთა შრომის შედეგების შეფასებაში ფორმალიზმის აღსაკვეთად. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გასულ სასწავლო წელს 549 ოქროს მედლის კანდიდატიდან გამოსაშვებ გამოცდებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მუშაკები, 341-მა ვერ მიიღო შეფასება „5“, ხოლო განათლების სამინისტროში ოქროს მედლით დასაჯილდოებლად წარმოდგენილი 62 მოსწავლის საგამოცდო წერიით ნამუშევრები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში აშკარად არ იმსახურებდნენ შეფასება „5“-ს. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნული მოსწავლეების დიდმა ნაწილმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადაამკამყოფილებელი შეფასება მიიღო.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოსაშვებ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ანალიზმა ნათლად წარმოაჩინა, რომ სკოლის კურსდამთავრებულთა ჯერ კიდევ დიდ ნაწილს სერიოზული ხარვეზები გააჩნია პროგრამული მასალის ცოდნაში, განსაკუთრებით, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981 სასწავლო წელს გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდების დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით



კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981 სასწავლო წლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, რომლებმაც:

1. 1. სკოლების სამმართველოს ცნობის საფუძველზე შეისწავლონ და გააანალიზონ 1980—1981 სასწავლო წელს გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები, განიხილონ ისინი კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

1. 2. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელობისა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში. გადაამტრელი ბრძოლა გამოუცხადონ ატესტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, სემესტრული და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს ოქროს მედლისა და მაღალქულიანი ატესტატების უსაფუძვლოდ მაძიებელთა მომრავლებას, დეზორგანიზაცია შეაქვეს კურსდამთავრებულთა პროფესიულ ორიენტაციაში;

1. 3. განიხილონ სასკოლო საგამოცდო და სარაიონო სარეცენზიო კომისიების იმ წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ მოვალეობას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებისას გამოავლინეს არაკვალიფიციურობა, უბრინციობა და ლიბერალიზმი. მკაცრი ზომები მიიღონ იმ მასწავლებელთა მიმართ, რომელთა ხუთოსანმა კურსდამთავრებულებმა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურეს და მათი კვირეული დატვირთვის განსაზღვრისას გაითვალისწინონ დამამთავრებელ კლასებში საათების მიცემის მიზანშეწონილობა;

1. 4. სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ ცნობაში აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს 1982 წლის 1-ელ მარტამდე;

1. 5. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლონ ცნობაში აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა, გააანალიზონ ცალკეულ საგნებში პროგრამული მასალის ათვისების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

2. საგამოცდო ინსტრუქციის მოთხოვნათა უხეში დარღვევისათვის მასწავლებელთა მუშაობაზე არასაკამარისი კონტროლისათვის და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არსებული ნაკლოვანებებისთვის სკოლის დირექტორებს ამხ. ამხ. ა. სხირტლაძეს (ლაგოდნის 1-ლი საშუალო სკოლა), გ. აქიმინვილს (თიანეთის მ. გელოვანის სახელობის საშუალო სკოლა), ც. ქირიას და მ. აბსანაძეს (ქ. ზუგდიდის მე-2 და მე-6 საშუალო სკოლები) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური, ხოლო დირექტორებს: ი. მანუკიანს და ს. აკოფიანს (ბოგდანოვიცის რუსული და განძის მე-2 სკოლები), მ. ელიაურს (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა), გ. მედულაშვილს (გურჯაანის რაიონის არაშენდის საშუალო სკოლა), ვ. ბაირამოვს (დმანისის რაიონის საჯარო საშუალო სკოლა), გ. ჯაბაშვილს (სიღნაღის რაიონის ბობბისხევის საშუალო სკოლა), ს. გაბრიჭიძეს (თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლა), კ. სხირტლაძეს (ლაგოდნის რაიონის აფენის საშუალო სკოლა), ი. ქარქაშაძეს (ქ. ტყიბულის 1-ლი საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური!

3. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებულ სერიოზული დარღვევებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის ქარელის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. სანებლიძე იმსახურებს სამუშაოდან გათავისუფლებას, მაგრამ გათვალისწინებულ იქნას სახალხო განათლების დარგში მისი ხანგრძლივი მუშაობა და შესაძლებლად ჩაითვალოს მისი განთავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

4. აღინიშნოს ახმეტის, წითელწყაროს, სიღნაღის, ჩხოროწყუს, ლაგოდნის, წალენჯიხის, მარნეულის, თერჯოლის, გარდაბნის, ქარელის, ყვარლის, ლუშეთის, ლანჩხუთის, ახალქალაქის (ამხ. ამხ. ა. ბაკურაძე, მ. ბილიაშვილი, რ. ბეჟაშვილი, ღ. გორდულაძე, ა. სხალაძე, ვ. ბელქანია, გ. ნაბიევა; ც. ღიბრაძე, ზ. ზაქარეიშვილი, ვ. ბაქრაძე, რ. შავგულიძე, ქ. ბაშარული, ც. ქინქლაძე, ა. გაბრიელიანი) რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების არასაკამარისი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასებაში სათანადო წესრიგის დამყარების საქმეში!

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის განათლების სამმართველომ განიხილა დაქვემდებარებულ სკოლებში 1980—1981 სასწავლო წლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო ქ. ქუთაისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ამჟამად იხილავს შემოაღნიშნულ საკითხს.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ცხინვალის, თეთრიწყაროს, წალკის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები ე. ტასოევი, ლ. ჯინჯიხაძე, ნ. მელტონიანი განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან; ჩხოროწყუს რაიონის დაუსწრებელი სკოლის დირექტორი



რექტორის ე. ბერიას მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ნაფიჩხაოს საშუალო სკოლის დირექტორი გ. პაპავა მკაცრად დასჯად პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ, ხოლო მცხეთის რაიონის დიდმის საშუალო სკოლის დირექტორს ჯ. თორთლაძეს დაედო მკაცრი სასჯელი და გადაყვანილია სხვა სკოლაში სამუშაოდ.

7. აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი და სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981 სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ“ გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შველიძე) და დაიბეჭდოს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

8. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი (ლ. ქინძლავა)

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1980—1981
ხასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს
სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების
შ ე ს ა ხ ე ბ

1980—1981 ხასწავლო წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხობრივი მაჩვენებლებზე გაუმჯობესებისათვის გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურ და ზონალურ კრებებზე განათლების მინისტრის ამხ. ო. დ. ქინქლამის მოხსენებებმა „მე-11 ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ გამომდინარე სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებიდან“ შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა სასკოლო პედაგოგიური კოლექტივების მობილიზებაზე პარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახელებულ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. სკოლებში განმტკიცდა სახელმწიფო, შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა, რასაც სასკოლო ცხოვრებაში შესამჩნევი პოზიტიური ძვრები მოჰყვა და ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სკკპ 26-ე და საქართველოს კ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო განათლების მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის. გასულ, 1980—1981, ხასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა ძირითადად ორგანიზებულად დაიწყეს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით ჩაატარეს საშუალო განათლების ატესტაციის მისაღები გამოცდები, სადაც შეჯამდა სკოლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა. სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდა გამოსაშვები გამოცდების, მაღალ ღონეზე ჩატარებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს.

სკოლებისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა დიდმა უმრავლესობამ სრულყო და დახვეწა სკოლის პედაგოგიური კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სტილი, ფორმები და მეთოდები, გაატარა საჭირო ღონისძიებები სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ფეხმოდგმული ფორმალიზმისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის აღმოფხვრისათვის. მასწავლებელთა უმრავლესობა სწავლებაში ფართოდ ნერგავდა სიახლეებს, უნარიანად იყენებდა თვალსაჩინოებასა და სასწავლო-ტექნიკურ საშუალებებს, ატარებდა ლაბორატორიულ და სხვა სახის პრაქტიკულ სამუშაოებს და აღწევდა მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისებას. ყოველივე ამის

შედგად კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა განსაკუთრებით შთა-
ვინც ოქროს მედლით, ქების სიგელებით და წარჩინებით დაამთავრეს
საშუალო სკოლა, როგორც გამოსაშვებ, ასევე უმაღლეს სასწავლებლებ-
ში მისაღებ გამოცდებზე მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა და მტკიცე
ცოდნა გამოავლინეს.

ამასთან, როგორც რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლე-
ბის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საინსპექტორო შემოწმებამ
და საშუალო განათლების ატესტატისა და უმაღლეს სასწავლებლებში
მისაღები გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო, მთელ რიგ სკო-
ლებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი
პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, საჭირო ყურადღება
არ ექცევა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, მის სიღრმესა და სიმტკიცეს,
სწავლების სისტემატურობასა და შეგნებულობას. სკოლების გარკვეუ-
ლი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯეროვან მომზადებას
სასწავლო პროგრამის ფარგლებში. ჯერ კიდევ არასაკმარისი ბრძოლა
მიმდინარეობს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დამკვიდრე-
ბული ისეთი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, როგორცაა: ფორ-
მალიზმი, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, მათმბლობა, უპასუხის-
მგებლობა, გულგრილობა, პირადი ეგოისტური დამოკიდებულება, რის
გამოც კურსდამთავრებულთა საატესტატო ნიშნები ყოველთვის ობიექ-
ტურად როდი ასახავს რეალური ცოდნის დონეს, რაც, თავის მხრივ,
ხელს უწყობს არააღვალური რეპეტიტორობის გავრცელებას. ზოგი-
ერთმა სკოლის ხელმძღვანელმა ვერ უზრუნველყო გამოცდებისათვის
სათანადო მომზადება, პედაგოგიური კოლექტივების მობილზაცია
სკოლის ცხოვრებაში ამ უაღრესად პასუხსაგები და მნიშვნელოვანი დო-
ნისძიებების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

გამოსაშვები გამოცდებისათვის არასათანადოდ მომზადების გამო
საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევები აღინიშნა თეთრიწყაროს,
ზესტაფონის, წითელწყაროს, მცხეთის, ქარელის, ხაშურისა და კასპის
რაიონების (გამგეები: ლ. ჯინჯინაძე, მ. სალარიძე, მ. ბილიაშვილი,
ე. ხარაბაძე, ვ. ბაქრაძე, გ. ჯაფარაშვილი, გ. შაქარაშვილი) რიგ სკო-
ლებში. თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილებას დროულად
არ უზრუნვედა სკოლების საგამოცდო ოქმებით უზრუნველყოფისათვის,
არასწორად იყო დაკომპლექტებული ოქროს მედლის კანდიდატთა ნა-
მუშევრების გამსწორებელი რაიონული კომისიები. საგამოცდო და სა-
კონსულტაციო ცხრილები ინსტრუქციის დარღვევით იყო შედგენილი:
ზესტაფონის რაიონის 1-ლ, მე-2, მე-3, კვალითისა და პირველი სვი-
რის საშუალო სკოლებში (დირექტორები: ზ. კვინიკაძე, გ. ალავიძე,
უ. გიორგაძე, ა. ბარამიძე, თ. წაქაძე) გამოსაშვებ 20-ზე მეტ მოს-
წავლიან პარალელურ კლასებში ზეპირი გამოცდები ერთ დღეს იყო და-
ნიშნული, პირველი სვირის საშუალო სკოლაში არ იყო შედგენილი
საკონსულტაციო ცხრილი. მე-2 და მე-3 საშუალო სკოლების მე-მ

კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო მასალას აკლ-
და საგამოცდო ბილეთების მოთხოვნათა მიითვლება.

წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში (დირექტორი ხ. კანი-
ლი) 30 მაისსაც არ ქონდათ შედგენილი მშობლიური ლიტერატურის
ზეპირი გამოცდებისათვის საჭირო საგამოცდო მასალები. პედაგოგიუ-
რი კოლექტივის წევრები არ იცნობდნენ საგამოცდო ინსტრუქციას.

აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ კასპის რაიონის იგოეთის საშუა-
ლო სკოლის (დირექტორი გ. გორჯლოლაძე) მე-10 კლასის მოსწავ-
ლეების ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო წერითი ნამუ-
შევრები გასწორების გარეშე იყო შეფასებული, ხოლო ალგებრა და
ანალიზის საწყისებში ერთნაირად შესრულებული საგამოცდო ნამუ-
შევრები კი — სხვადასხვა ნიშნით.

რესპუბლიკის სკოლების ერთი ნაწილის საქმიანობაში ჯეროვანი
ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების ფორმი-
რებისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას;
რის გამოც მოსწავლეთა ერთ ნაწილს არ გააჩნია საკუთარი ძალების
რწმენა და ცდილობს „შპარგალკების“ გამოყენებას, თვალის ახვევას.

დიღმის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. თორთლაძე) არაორ-
განიზებულად ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გა-
მოცდა. რუსული ენისა და ლიტერატურის ზეპირ გამოცდაზე ადგილი
ქონდა ბილეთების წინასწარი დანიშვნის შემთხვევებს. მოსწავლეები
ბილეთებს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ. ნ. კოვზანიძეს წაართვა
აღებული ბილეთი მედლის კანდიდატმა ე. ტიკიშვილმა, რასაც მოჰყვა
მოსწავლეთა ნერვიულობა, ტირილი და სხვა.

ქარელის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. სანებლიძე)
ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდაზე საგამოცდო კო-
მისიის წევრები მ. მირუაშვილი, რ. მჭედლიშვილი, ბ. არღეშანიშვილი
ცდილობდნენ მოსწავლეებისათვის მიეწოდებინათ „შპარგალკები“;
ხოლო ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ლაბაძე) მა-
თემატიკის მოსწავლელების ც. ბარბაქაძისა და გ. ამირხანოვის უტაქ-
ტო მოქმედება პედაგოგისათვის დამახასიათებელ ელემენტარულ ეთი-
კურ ნორმებსაც კი სცილდებოდა.

თბილისის 114-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ი. შენგელია)
ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდაზე კომისიის შე-
მადგენლობამ ვერ შეძლო წესრიგის დამყარება — მოსწავლეები მოუ-
რიდებლად იწერდნენ ერთმანეთისაგან. მოსწავლე ნ. ტალახაძემ, გა-
რეთ გასვლის ნებართვის მიღების შემდეგ, ყველას დასანახავად დირექ-
ტორს გადაუგდო „შპარგალკა“, რასაც მოჰყვა ხმაური და უწყისრიგო-
ბა. ოქროს მედლის კანდიდატმა მიერ „შპარგალკების“ გამოყენების
მცდელობას ადგილი ქონდა თბილისის მე-4, 23-ე, 29-ე, 43-ე, 51-ე,
55-ე, 58-ე, 61-ე, 101-ე, 140-ე, 150-ე, 151-ე საშუალო სკოლებში
(დირექტორები: მ. ნებეირიძე, თ. ანდრიაძე, ნ. დუმბაძე, თ. ნიკოლაი-

შვილი, ლ. ზარანდია, ო. ლომიძე, ჯ. თალაკვაძე, ლ. ჩხარტიშვილი, რ. სურგულაძე, ე. რუხაძე, მ. ოჩიგავა, ვ. ლებანიძე).

ზოგიერთი სკოლის საგამოცდო კომისიის წევრები არაკეთილსინდისიერად მოეკიდნენ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებას, არ განახორციელეს მკაცრი და სამართლიანი მოთხოვნები. ისინი ყოველთვის რაღაც ამჩნევდნენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. უფრო მეტიც, უსაფუძვლოდ იცავდნენ იმ მოსწავლეთა ნამუშევრებს, რომლებსაც შემდგომ ინსტანციებში ჩამოაკლდათ ნიშანი, და, გამოდიოდნენ რა ნიშანდაკლებულ მოსწავლეთა „ქომაგებად“, იჩენდნენ გადაჭარბებულ დაინტერესებას, მშობელთა თანდასწრებით ცდილობდნენ გაემართლებინათ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომები. ადგილობრივი საგამოცდო კომისიების წევრების ასეთი მოქმედების შედეგად მშობლები უნდობლად ეკიდებოდნენ განათლების სამინისტროს ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრების განმხილველი კომისიების წევრს, ობიექტურ გადაწყვეტილებას და ცდილობდნენ ათასგვარი ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი საჩივრებით სასურველი მიზნის მიღწევას. ამ მხრივ აღსანიშნავია თიანეთის რაიონის მ. გელოვანის სახელობის, სიღნაღის რაიონის წნორის 1-ლი საშუალო სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ვ. ჭრელოშვილის, მ. ყაჯრიშვილის, ვ. გონაშვილის (წითელწყაროს რაიონის მათემატიკის სასკოლო ინსპექტორი) და სხვათა არასწორი მოქმედება.

განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელთა საგრძნობი რაოდენობა სათანადოდ ვერ ერკვევა განათლების სამინისტროს მოთხოვნებში, ძირითად მიმართულებებში, ვერ უზრუნველყოფს იმ დიდი პირადი პასუხისმგებლობის შესრულებას, რაც აკისრიათ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში, რის გამოც ზოგიერთ სკოლაში თავიდანვე არჩევენ მოსწავლეებს აკადემიური წარმატების ხელოვნურად ამაღლებას, მათთვის დაუმასხურებელი მაღალი ნიშნების წერას, რაც განსაკუთრებულად თავს იჩენს კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასებაში. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გასული სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის მონაცემების მიხედვით 549 ოქროს მედლის კანდიდატიდან სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებულ საინსპექტორო შემოწმებისა და საგაზაფხულო გამოცდის შედეგად 342-მა ვერ მიღო შეფასება — „5“ და გამოეთიშა ოქროს მედლის კანდიდატთა რიცხვს. ამას კი მოჰყვა მშობლების სამართლიანი გულისწყრომა და საჩივრები შემდგომ ორგანოებში.

ამ მხრივ შემოფოთებას იწვევს ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების არაეფექტური ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებისადმი, რის გამოც მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ვხვდებით არაობიექტურობის, ლიბერა-

ლოზმისა და პროტექციონიზმის შემთხვევებს. მაგალითად, ქუთაისის მე-2, მე-3, მე-12, მე-13, მე-14, მე-17 საშუალო სკოლების (დირექტორები: ა. სანდუხაძე, თ. დახუნდარიძე, ე. თავაძე, ო. ტოგონიძე, ე. შალამბერიძე, გ. სიხარულიძე) პედაგოგიურმა კოლექტივებმა დაუმსახურებელი მაღალი ნიშნით შეაფასეს მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევრები. მე-13 საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატის მ. ფხაკაძის 23 იანვრის ნამუშევარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ნაცვლად 3/3-სა, შეფასებული იყო 5/4-ზე. 3 აპრილის ნამუშევარი, ნაცვლად 4/2-სა, შეფასებული იყო 5/4-ზე. ამავე სკოლის ოქროს მედლის კანდიდატის გ. ჯინჯიხაძის 22 დეკემბრის და 28 აპრილის ნამუშევრები, ნაცვლად 3/4-სა, შეფასებული იყო 5/5-ზე და სხვა. მოსწავლეთა ცოდნის ასეთი არაობიექტური შეფასების შედეგად ოქროს მედლის კანდიდატობიდან მოიხსნა 8 მოსწავლე. ქართული ენისა და ლიტერატურის საკონტროლო წერიტი ნამუშევრების შეფასების უხეში დარღვევები აღინიშნა ლანჩუთის რაიონის (გამგე გ. ქინქლაძე) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებშიც. სუფსის საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. გალოგრა) ოქროს მედლის კანდიდატის ი. ესიავას 24 დეკემბრის ნამუშევარი, ნაცვლად 5/3-სა შეფასებული იყო 5/5-ზე. 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ჩიკაშუა) ოქროს მედლის კანდიდატის ც. იმნაძის სარაიონო წერის ნამუშევარი ნაცვლად 4/3-სა, შეფასებული იყო 5/5-ზე. მოსწავლეთა ფაქტობრივი ცოდნის ლიბერალურად შეფასების შედეგად ოქროს მედლის კანდიდატობიდან მოიხსნა 9 მოსწავლე, აქედან ხუთი 1-ლი საშუალო სკოლიდანაა.

ზესტაფონის რაიონის (გამგე მ. სალარიძე) ოქროს მედლის 9 კანდიდატიდან 6-ს ქართული ენისა და ლიტერატურის, ხოლო 2-ს ალგებრა და ანალიზის საწყისების წერით გამოცდებზე სკოლების საგამოცდო კომისიებმა დააკლეს ნიშნები. ანალოგიური შემთხვევები აღინიშნა ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, მარნეულის, მესტიის, მცხეთის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ცხაკაიას, წალკის რაიონებში (განათლების განყოფილების გამგეები ა. გაბრიელიანი ე. კობაძე, ს. ჯღაცპანიანი, ა. ხუროძე, ნ. კალანდია, გ. ნაბიევა, ა. ჩხვიმიანი, ე. ხარაბაძე, რ. ბეჟაშვილი, ლ. ჯინჯიხაძე, ვ. ოზგაიძე, კ. შარტავა, ხ. ანასტასოვი).

სკოლების ხელმძღვანელების, მასწავლებლების, რაიონული განათლების განყოფილებების გამგეების ერთმა ნაწილმა ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება შეფასების საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ“, გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული საკითხები ჩათვალა ერთგვარად ღონისძიებად და არ დააწესა უმკაცრესი ყოველდღიური კონტროლი მათ განუხრელ განხორციელებაზე, რის გამოც კვლავ დადგინდა ატესტატის საშუალო არითმეტიკული ქულის ხელოვნურად გაზრდის მიზნით

მიმდინარე, მეოთხედური (სემესტრული) და წლიური შეფასების არასწორი გამოყვანის შემთხვევები. მედლის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ ისეთი მოსწავლეები, რომლებსაც ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში წლიურ ნიშნებად ეწერათ „5“-ბი, ნაცვლად „4“-სა. მესტიის (გამგე ა. ჩხვირიანი) მე-2 საშუალო სკოლამ (დირექტორი ვ. პაკე-ლიანი) ოქროს მედლის კანდიდატად წარმოადგინა თბილისის კომპროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატიდან გადმოსული სამოსანი მოსწავლე ნ. რატიანი.

ლაგოდეხის რაიონის (გამგე ე. ხმალადე) სკოლებში განათლების სამინისტროს მიერ 1981 წლის მაისის თვეში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებულმა საკონტროლო წერამ გამოავლინა სკოლებისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელთა სრული უპასუხისმგებლობა მოსწავლეებზე ცოდნის შეფასების საქმეში. 16 ოქროს მედლის კანდიდატიდან საკონტროლო სამუშაო შეასრულა 12-მა, აქედან 11-მა, კანდიდატმა მიიღო შეფასება „3/3“. ლაგოდეხის 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი ა. სხირტლადე) 7 ოქროს მედლის კანდიდატიდან 6-მა დაიმსახურა „3/3“. ვარდისუბნის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ჩხვიძე) 3 ოქროს მედლის კანდიდატიდან სამივემ მიიღო — „3/3“. ანალოგიური შემთხვევები აღინიშნა აბაშის რაიონის 1-ლ და მე-2 საშუალო სკოლებში (დირექტორები: გ. ქოიავა, ა. თოფურია). წალკის მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. კალიჩივი) ოქროს მედლის კანდიდატს ნ. ბელიანოვოვის ინგლისურ ენაში ხელოვნურად აქვს აწეული საბოლოო ნიშანი. ნარდევანის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ანტონიანი) მედლის კანდიდატს ს. მელტონიანს მე-9 კლასში ფიზიკაში მიმდინარე შეფასების ნიშანი „3“ გადასწორებული აქვს „5“-ად. კ. კურბეკიანის სომხური ენის ნიშანი „2“ ამოშლილია. გადასწორებულია ბიოლოგიისა და ფიზკულტურის ნიშნები „5“-ად. ქარელის რაიონის კენიჯვრის საშუალო სკოლის (დირექტორი ო. კაბუღაშვილი) მედლის კანდიდატს ე. ფურცელაძეს მე-9 კლასში მშობლიურ ლიტერატურაში წლიურ ნიშნად, ნაცვლად „4“-სა, უწერია „5“. ტყებულის ზონის სოფელ კურსების საშუალო სკოლის (დირექტორი ი. აბესაძე) მედლის კანდიდატს თ. ამყოლაძეს მე-9 კლასში ქართულ ლიტერატურაში წლიურ ნიშნად ნაცვლად „4“-ისა, უწერია „5“. ქ. შუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ც. ქირია) ოქროს მედლის კანდიდატს ლ. ბეზიას მე-9 კლასში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარე შეფასების ნიშნები „3“-ბი გადასწორებული აქვს „5“-ად. სიღნაღის რაიონის წნორის მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი ს. ბოსტოლანაშვილი) მედლის კანდიდატს ი. ბაკაშვილს მე-9 კლასის ხაზვისა და გეომეტრიის ნიშნები გადასწორებულია „5“-ად. მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს ადგილი ქონდა წნორის 1-ლ საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ბასილაშვილი). არასწორად ქონდათ გამოყვანილი მეოთხედური (სემესტრული) ნიშნები



ამ სკოლის ოქროს მედლის კანდიდატებს მ. ფხოველიშვილს (მე-9 კლასში ფიზკულტურაში) და ლ. ხანჯალიაშვილის (შრომით სწავლებაში). მიმდინარე შეფასების ნიშნების ამოშლა-ჩასწორების შემთხვევებს ადგილი ქონდა საჭობიის (დირექტორი ჯ. სესიტაშვილი) და ქ. ჭიათურის 1-ელ საშუალო სკოლებში (დირექტორი ი. ნეფარიძე)! მიმდინარე შეფასების გარეშე აქეთ გამოყვანილი მე-4 მეოთხედის ნიშნები ქ. ჭიათურის რუსული საშუალო სკოლის (დირექტორი ს. კორნიენკო) ოქროს მედლის კანდიდატებს ლ. ქადაგიძეს რუსულ ლიტერატურა-ტურასა და ხაზვაში, ზ. მასხარაშვილს — რუსულ ლიტერატურაში. წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის (დირექტორი ხ. კანიდი) მოსწავლეებს ი. დანიელოვას და გ. გოგილაშვილს მე-9 კლასში 1-ლ და მე-მე-2 მეოთხედებში ყველა საგანში, მე-3 მეოთხედში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ ენაში, ბიოლოგიაში, მე-4 მეოთხედში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიაში, ფიზკულტურაში, შრომით სწავლებაში და დაწყებით სამხედრო მომზადებაში მიმდინარე შეფასების გარეშე უწერიათ მეოთხედური ნიშნები. ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. სანდუხაძე) ოქროს მედლის კანდიდატს ნ. ბარქაიას მიმდინარე შეფასების გარეშე აქვს გამოყვანილი ნიშნები. ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. პაპოიანი) ოქროს მედლის კანდიდატს ა. აკოფიანს მე-9 კლასის ფიზიკაში მე-2 და მე-3 მეოთხედებში. ნაცვლად „4“-სა, უწერია „5“-ბი, მშობლიურსა და ქართულ ენაში მე-3 და მე-4 მეოთხედებში მიმდინარე შეფასების გარეშე უწერია „5“-ბი. ამოშლის, გადასწორების, მიმდინარე შეფასების გარეშე მეოთხედური (სემესტრული) ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს ადგილი ქონდა ახალქალაქის 1-ლ, მე-2 და სოფელ ალათუმანის (დირექტორები: ვ. გალსტიანი, ა. აზარიანი, ს. სიმონიანი), თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის (დირექტორი მ. ჯამაგაძე), ახალციხის 1-ლ და მე-2 (დირექტორები: გ. ივანიძე, ნ. ჯინჭველაძე), ქარელის 1-ლ და აგარის (დირექტორები: ბ. მიქელაძე, ჯ. სანებლიძე), ბორჯომის 1-ლ (დირექტორი ა. შაყულაშვილი), ლანჩხუთის 1-ლ, ჯურუყეთის, ნიგვზიანის (დირექტორები ვ. ჩიკაშუა, ა. ანთაძე, ი. ტულუშვილი), ლაგოდენის მე-2 (დირექტორი რ. ლალიევი), ზესტაფონის რაიონის კვალითის (დირექტორი ა. ბარამიძე) და ქ. ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში. საკლასო ყურნალებში წერითი ნამუშევრების შეფასების ნიშნების შეუტანლობა აღინიშნა ახმეტის რაიონის ქისტაურისა და ქვემო ალვანის საშუალო სკოლებში (დირექტორები: ზ. ალბორიშვილი, ა. ბახტურიძე). აღნიშნულ მოსწავლეებს სკოლების სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად უარი ეთქვათ ოქროს მედლით დაჯილდოებაზე.

მოსწავლეთა ცოდნის არაობიექტურად შეფასებისადმი უკომპრო-

მისო ბრძოლას გარკვეული შედეგი მოყვა, თუმცა მთელი რიგი რაიონების სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა სწავლების ხარისხის ამაღლებისადმი ეფექტური საშუალებების გამოძებნის ნაცვლად მოაღწუნეს მუშაობა, რის გამოც კვლავ მცირეა მედალოსანთა და მაღალქულიანი ატესტატების მფლობელთა რიცხვი. მაგალითად: გუდაუთის რაიონის (გამგე ი. შამბა) 804 მე-10 კლასელიდან მაღალქულიანი ატესტატი მიიღო მხოლოდ 22-მა, ხულოს რაიონის (გამგე თ. ბოლქვაძე) 723-დან — 25-მა, ზნაურის რაიონის (გამგე ი. გაგლოევი) 312-დან 13-მა, მაიაკოვსკის რაიონის (გამგე გ. თავხელიძე) 408-დან — 15-მა, მესტიის რაიონის (გამგე ა. ჩხვიმიანი) 345-დან — 9-მ, ონის რაიონის (გამგე გ. ღვებრიელი) 203-დან — 13-მა, ცაგერის რაიონის (გამგე დ. კობალიანი) 257-დან — 12-მა, ჩხოროწყუს რაიონის (გამგე ლ. გორდულაძე) 458-დან — 20-მა, გორის რაიონის (გამგე ა. ჩხეიძე) 1240-დან — 32-მა, ქარელის რაიონის (გამგე ვ. ბაქრაძე) 833-დან — 44-მა, სამტრედიის რაიონის (გამგე კ. ძნელაძე) 606-დან — 29-მ, საჩხერის რაიონის (გამგე გ. აბუანდაძე) 911-დან — 42-მა.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტრომ არაერთგზის მიაქცია ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელების ყურადღება ნეგატიური მოვლენების, ჩვენი სოციალისტური კანონიერების ანტიბოღების, საზოგადოებრივი მორალის ნორმების დამრღვევების, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ. კვლავ ადგილი აქვს მომხვეჭელობის, გამოძალვისა და პედაგოგისათვის სხვა შეუფერებელი მოქმედების ცალკეულ შემთხვევებს!

ჩხოროწყუს რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ბერიამ 1980—1981 სასწავლო წლის ბოლოს ვინმე ვ. ჟ. ბედუკიძეზე ფიქტიურად შეადგინა საშუალო განათლების ატესტატის მიმსაღები ყველა საჭირო საბუთი და გასცა ყალბი № 298115 ატესტატი. ვ. ბერიას მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობდა და დახმარებას უწევდა ნაფინხოოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე — დღის საშუალო სკოლის დირექტორი მ. ი. პაპავა, რომელმაც ხელი მოაწერა ბედუკიძეზე ყალბად შედგენილ საბუთებს და საშუალო განათლების ატესტატს. ნაფინხოოს საშუალო სკოლის სამარცხვინო მაგალითი აღასტურებს, რომ რაიონის განათლების განყოფილებაში (გამგე ლ. გორდულაძე) არაღამაკამყოფილებლად სრულდება განათლების სამინისტროს კატეგორიული მოთხოვნები რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

რესპუბლიკის ცალკეული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები, მათი მოადგილეები და კლასის ხელმძღვანელები კვლავ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სასკოლო დოკუმენტების წარმოებას, უხეზად არღვევენ საშუალო განათლების ატესტატების შევსე-



ბის თაობაზე სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1975 წლის 14 ოქტომბრის № 137 ბრძანებით დაწესებულ მოთხოვნებს, შეცდომით შეაქვთ კურსდამთავრებულის სახელი, გვარი, მამის სახელი. დაწესებული რაოდენობის მიხედვით არ აწერენ ხელს მასწავლებლები, ან აწერენ, მაგრამ სხვადასხვა ფერის ტუშით. მეღნიტ, პასტიტ. ადგილი აქვს ნიშნების ამოშლისა და გადასწორების შემთხვევებს, არ იკითხება ბეჭედი და სხვა. აღნიშნულის გამო 1981 წელს სსრ კავშირის განათლების სამინისტროდან შემოვიდა თხოვნა ცხინვალის მე-12, სოხუმის მე-19, თბილისის მე-2, ახალქალაქის 1-ლი, გორის მე-6, წალკის რაიონის სოფელ გუმათისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლების (დირექტორები: ი. სიუკავეი, შ. შელია, ს. ჩილინგარიდი, ვ. ვალსტიანი, დ. დანიელოვი, ც. მუხუშლა) კურსდამთავრებულებზე გაცემული ატესტატების სისწორის დადასტურების შესახებ.

ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდა ოქროს მედლის კანდიდატთა ნამუშევრების სარეცენზიო კომისიების დაკომპლექტების საქმეს, მის შემადგენლობაში შეიყვანეს ნაკლებად კომპეტენტური, დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები, რომლებმაც ვერ განახორციელეს ბოლომდე სამართლიანი მოთხოვნები. ისინი ვერ ან არ ამჩნევდნენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს და განათლების სამინისტროში წარმოადგინეს ისეთი ნამუშევრები, რომლებიც არ იმსახურებდნენ „5“-ზე შეფასებას. უფრო მეტიც, ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე ე. ტასოევი) არაეფექტურმა ხელმძღვანელობამ, სახალხო განათლების განყოფილებაში შექმნილმა არაჯანსაღმა ატმოსფერომ, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინისა და თვითდისციპლინის მოშლამ განაპირობა ალგებრა და ანალიზის საწყისებში ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების განმხილველი კომისიების (ცხინვალის რაიონის სასკოლო ინსპექტორი ბ. ოთინაშვილი, მეთოდური კაბინეტის გამგე ა. ფუხაევი, სოფელ ბერულის საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი შ. ბუშალაძე, ოლქის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორები: ი. ჯოჯიშვილი და ს. ჯიოევი, მეთოდისტი მ. კოზაევი) იმ უპრინციპო მუშაკებით დაკომპლექტება, რომლებიც პროტექციონიზმისა და ნევალტური მოვლენების ტყვეობაში მოექცნენ, უღალატეს საბჭოთა პედაგოგის სახელსა და ღირსებას, ბოროტი განზრახვის განსახორციელებლად. უხეშად დაარღვიეს სკოლის ცხოვრებაში არსებული საერთო მოთხოვნათა ნორმები, შეურაცხვეს საბჭოთა მასწავლებლის საპატიო სახელი. სოფელ ქურთის საშუალო სკოლის ოქროს მედლის კანდიდატი ქ. მ. ჭულუხიძე, რომელმაც ვერ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე და ჩაიდინა საბჭოთა მოსწავლისათვის სამარცხვინო საქციელი, ბ. ოთინაშვილმა აიძულა შინ გადაეწერა საგამოცდო წერითი ნამუშევარი. რაიონულმა კომისიამ დაუშვა სასკოლო საგამოცდო კომისიის რეცენზიისა



და ხელმოწერათა სიყალბე, ხოლო შემდგომ კვალის დაფარვის მიზნით ჩადენილი სიყალბის ერთადერთი ნივთიერი მტკიცება — საგამოცდო ნამუშევრის მეორე ვარიანტი — დახია.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დამკვიდრებული არაობი-ექტურობისა და პროტექციონიზმის ფაქტები გამოვლინდა მცხეთის რაიონის (გამგე ე. ხარაბაძე) დიღმის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში (დირექტორი ჯ. თორთლაძე, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. რუხაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: შ. ბარამიძე, ნ. ლეჟავა).

F-4997

სკოლისა და რაიონული კომისიების მინდობილი საქმისადმი არასერიოზული, ზერელე და უსულგულო დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს კომისიამ მაღალ ნიშანზე შეფასებული 13 კურსდამთავრებულის საგამოცდო წერიტი ნამუშევრიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში 9 შეაფასა 3/2-ზე, მათ შორის ოქროს მედლის კანდიდატის ე. ტიკიშვილის ნამუშევარიც, რომელშიც დაშვებული იყო 10 ორთოგრაფიული, 5 სტილური, 6 პუნქტუაციური და 2 ფაქტობრივი შეცდომა.

მასწავლებლების ხელის შეწყობით ხელოვნურად შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლის მედლის კანდიდატი მ. პოპიშვილი რუსულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ნ. ნანობაშვილი) და ფიზიკაში (მასწავლებელი ა. ტარყაშვილი) საბოლოო უმაღლესი ნიშნით შეფასებულიყო (წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგე მ. ბიღიაშვილი).

გამოსაშვები გამოცდების პერიოდში მოსწავლე პოპიშვილის წერიტი ნამუშევარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ შეფასებულ იქნა „5/4“-ზე, განათლების განყოფილების კომისიის მიერ კი რატომღაც „5/5“-ზე. აღნიშნული მოსწავლის ნამუშევარი განათლების სამინისტროს სარეცენზიო კომისიის მიერ შეფასებულ იქნა „4/3“-ზე. პოპიშვილი უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას ჩაიჭრა ფიზიკაში.

სარეცენზიო კომისიების მიერ მედლის კანდიდატთა წერიტი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს ადგილი ქონდა: ქართულ ენასა და ლიტერატურაში — ქ. ფოთის (ლ. კოლოტაშვილი, გ. კვიციანი, ი. მეტრეველი, ქ. კვაჭაძე, მ. ზახტაძე), ქ. ზუგდიდის (რ. მიქნაია, გ. ლოგუა, დ. ნაროშვილი), ქ. ჭიათურის (პ. ასანიძე, ფ. ბურჯანაძე, ნ. მუმლაძე), ბორჯომის (მ. მურმანიშვილი, გ. ზედგენიძე, ე. იობაშვილი), გარდაბნის (მ. კენკეზაშვილი, გ. ფუხაშვილი, ე. ცოფურაშვილი), გურჯაანის (მ. გომიაშვილი, ფ. ასკოლაშვილი, თ. ჩალაძე), ზესტაფონის (ნ. ნიქაბაძე, პ. შველიძე, ფ. დადიანი, თ. ბარბაქაძე, ი. კიკნაძე, ა. ლომთაძე, დ. შველიძე), ზუგდიდის (დ. ბუკია, ნ. აღმასია, ტ. ქორთუა), ქარელის (მ. კალანდაძე, რ. ბერუაშვილი).

მ. შარაშინის სპხ. სპმ.
სსპ. ახელფიფო
6 10 1960

ნ. კვინიაშვილი), ლანჩხუთის (თ. ლომაძე, მ. ბარამიძე, ბ. კუნჭულა), მესტიის (ი. მარგიანი, ზ. შამფრიანი, ნ. გრიგალაშვილი, ა. სუბელიანი), მცხეთის (ლ. ქირია, ნ. ბრაჭული, ლ. ჯინჯინაშვილი, ა. ომანაშვილი, მ. გიორგაძე), ორჯონიკიძის (ე. ბუაჩიძე, თ. კურტანიძე, ა. გუდაძე), საგარეჯოს (ნ. ქაიხოსროშვილი, ლ. ოთარაშვილი, ა. მღებრიშვილი), თეთრი წყაროს (ვ. ტყემელაშვილი, ც. ჩიმაკაძე, მ. მარქარაშვილი), თიანეთის (რ. კვიციანი, ნ. მახაროვა, ო. ლევერაშვილი), წითელწყაროს (მ. ბოქოლიშვილი, ა. თეთვაძე, ე. დარჩიაშვილი), ქ. ქუთაისის ავტოქარხნის (გ. გვიშიანი, ლ. ლეჟავა, ე. კენჭაძე, ქ. რუსაძე), ქ. ქუთაისის (ე. ნუცუბიძე, ლ. ფანცხავა, ლ. კოსტავა), ქ. თბილისის კალინინის (მ. დიასამიძე, ბ. ფუთურიძე, ნ. ნადაშვილი, ი. რობაქიძე), ლენინის (ნ. ბერძენიშვილი, ნ. ჩუთლაშვილი, ვ. კაჭარავა, ჟ. პაპაშვილი, ე. კვასცაძე, ნ. ღონაძე), ორჯონიკიძის (თ. ჯაფოშვილი, მ. კიწმარიშვილი, რ. ნატროშვილი, ზ. ლლონტი, ე. სურგულაძე, მ. ინასარიძე, ზ. ცინცაძე), ქ. თბილისის (ნ. ბუაძე, ლ. ტორონჯაძე, ნ. ბერძენიშვილი, რ. ებრაელიძე, თ. ჩხიკვაძე, მ. კირვალიძე), ცხინვალის (ბ. ოთინაშვილი, ს. ბერუაშვილი, ლ. ჯინჯინაშვილი), ქ. ცხინვალის (მ. მამისაშვილი, ნ. კირვალიძე), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ი. ჯოჯიშვილი, მ. მინდიაშვილი, ნ. ბეგიაშვილი) რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლებში.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში — ქ. ფოთის (მ. ჭანტურია, ნ. ანდრეევა, ვ. კუხალეიშვილი, ზ. ოლეინიკოვა, ს. ოკუჯავა), ყვარლის (ლ. ბიჭინაშვილი, რ. ჩახაზოვა, ტ. ელოშვილი), თელავის (ვ. გალვანოვი, ნ. ჭიკაძე, თ. მორბელაძე), თეთრიწყაროს (ე. ხარატიშვილი, გ. კანიდი, დ. ანოზოვი), წითელწყაროს (ნ. რომანოვა, ლ. ჭუაძე, ა. ხუსაინოვა), ქ. თბილისის ლენინის (ი. ბრონშტეინი, ი. ავილოვა, ლ. პეტროსიანი, მ. ჭანკვეტაძე), ქ. თბილისის (ლ. ბირიუკოვა, ქ. მელიქსეტოვა), ჯავის (რ. გაგლოევა, ფ. ცხოვრებოვი, ს. გაბარაევი), ქ. ცხინვალის (ვ. გაზაევი, გ. მედოევი, კ. ბიბილოვა, ნ. სომხიევა), ქალაქებისა და რაიონების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ბ. გაგლოევა, ნ. ორდოვა, ი. ძაგოევა) საშუალო სკოლებში.

სომხურ ენასა და ლიტერატურაში — ახალქალაქის (ვ. რსტაკიანი, ს. ენგიბარიანი, რ. ორჩიანი, ს. დარბინიანი), ალგებრა და ანალიზის საწყისებში — ახალქალაქის (ა. არუთინიანი, ვ. ავაბაბიანი, ს. მანასიანი, მ. არიონი), გურჯაანის (ა. მამათელაშვილი, ი. გიოშვილი, გ. ქიტიაშვილი, ჟ. ბიწკინაშვილი), თეთრი წყაროს (ა. ძუკაევი, ი. ტაბალუა, ე. ბაიაშვილი), წითელწყაროს (ვ. გონაშვილი, ე. ყორიაშვილი, ნ. ხუციშვილი), ქ. ქუთაისის ავტოქარხნის (ი. ლოლობერიძე, მ. აბულაძე, ა. კრავეცი), ქ. ქუთაისის (ტ. ხაბურძანია, ა. ელიკაშვილი, ლ. კაკაბაძე), ჯავის (ბ. კაჯაევი, ვ. პარასტაევი, ვ. ცხოვრებოვი), ქ. ცხინვალის (ვ. გასიევი, კ. კორიევი, მ. შერვახადაშვილი, ს. ჯიოევი, ნ. ტა-



ტარბიევი), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ს. ჯიოევი, რ. ჯიოევი, მ. კოზაევი) ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ოქროს მედლით დასაჯილდოებულ კანდიდატთა საგამოცდო წერიით ნამუშევრების განმხილველმა კომისიებმა 269 კანდიდატიდან ნიშანი დააკოო 62-ს. მათ შორის: ქ. ქუთაისის (გამგე ვ. ყავლაშვილი) განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი 6 ოქროს მედლის კანდიდატიდან — 6-ს, ქარელის (გამგე ვ. ბაქრაძე) 7-დან — 7-ს, ქ. ფოთის (გამგე ვ. ხოჭოლავა) 16-დან — 5-ს, ქ. ზუგდიდის (ყოფილი გამგე ა. ბერულავა) 6-დან — 1-ს, ქ. ჭიათურის (გამგე ვ. ცხადიაშვილი) 1-დან — 1-ს; ახალქალაქის (გამგე ა. გაბრიელიანი) 2-დან — 2-ს; ბორჯომის (გამგე ნ. ჩადუნელი) 4-დან — 1-ს; გარდაბნის (გამგე ზ. ზაქარეიშვილი) 4-დან — 1-ს; გურჯაანის (გამგე ვ. ლუაშვილი) 1-დან — 1-ს; ზესტაფონის (გამგე ვ. სარალიძე) 3-დან — 2-ს; ზუგდიდის (გამგე ნ. კალანდია) 2-დან — 2-ს; ყვარლის (გამგე რ. შავგულიძე) 3-დან — 1-ს; ლანჩხუთის (გამგე ვ. ქინქლაძე) 3-დან — 2-ს; მესტიის (გამგე ა. ჩხვიმიანი) 3-დან — 2-ს; მცხეთის (გამგე ე. ხარაბაძე) 2-დან — 2-ს; ორჯონიკიძის (გამგე შ. ლონდაძე) 1-დან — 1-ს; საგარეჯოს (გამგე ნ. ჭანტურია) 4-დან — 1-ს; თელავის (გამგე ა. თვალაშვილი) 12-დან 2-ს; თეთრი წყაროს (ყოფილი გამგე ლ. ჯინჯიხაძე) 2-დან — 2-ს; თიანეთის (გამგე ვ. ოზგაძე) 1-დან — 1-ს; წითელწყაროს (გამგე მ. ბილიაშვილი) 4-დან — 3-ს; ქ. თბილისის ლენინის (გამგე რ. გურგენიძე) 6-დან — 2-ს; კალინინის (გამგე ლ. ძნელაძე) 14-დან — 2-ს; ორჯონიკიძის (გამგე ლ. მნათობიშვილი) 31-დან — 2-ს; ქ. ცხინვალის (გამგე რ. ტაღტაევი) 11-დან — 6-ს; ჯავის (გამგე ს. ცხოვრებოვი) 2-დან — 2-ს; ცხინვალის (გამგე ე. ტასოევი) 2-დან — 2-ს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის სკოლებისა და განათლების განყოფილებათა საგამოცდო კომისიებში სრული უპასუხისმგებლობით მოექიდნენ ოქროს მედლის კანდიდატთა წერიითი ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების საქმეს, არ განაზორციელეს სამართლიანი, ობიექტური მოთხოვნები ან ვერ შეამჩნიეს მათში დაშვებული შეცდომები. ნამუშევრები იმდენად დაბალ დონეზე იყო შესრულებული, რომ მათი „5“-ზე შეფასება და სამინისტროში წარმოდგენა აშკარად მიგვანიშნებს სასკოლო და სარაიონო კომისიების არაკომპეტენტურობაზე, დაბალკვალიფიციურობაზე ან მათ დანაშაულებრივ ლიბერალიზმზე და თვალის ახვევის მცდელობაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ქარელის რაიონის (გამგე ვ. ბაქრაძე) ქარელის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების (დირექტორები: ვ. სანებლიძე, მ. ჭანიშვილი, საგნის მასწავლებლები: ც. მღებრიშვილი, ნ. მაზმიშვილი), ყვარლის რაიონის (გამგე რ. შავგულიძე) ყვარლის რუსული საშუალო სკოლის (დირექტორი და საგნის მასწავლებელი რ. კომუხამედოვა), თელავის რაიონის (გამგე ა. თვალაშვილი) თელავის მე-8 საშუალო

სკოლის (დირექტორი ი. სააკოვი, საგნის მასწავლებელი რ. მჭედლი-
შვილი), წითელწყაროს რაიონის (გამგე მ. ბილიაშვილი) წითელწყა-
როს 1-ლი და რუსული საშუალო სკოლის (დირექტორები: შ. ქადაგი-
ძე, ნ. კანდი, საგნის მასწავლებლები: მ. ლაზიაშვილი, ლ. ტაჩილინა)
საგამოცდო და სარეცენზიო კომისიების არასწორი, საბჭოთა მასწავ-
ლებლებისათვის ყოვლად შეუფერებელი და გაუმართლებელი მოქმე-
დება, რაც სამარცხვინო შედეგით დამთავრდა, მათი მედლის კანდიდა-
ტების: ზ. მიქელაძის, ნ. ბურაკოვის, ლ. კიკოლაშვილის, თ. მჭედლი-
შვილის, მ. პოპიშვილის, გ. გოგილაშვილის მშობლიური ენისა და ლი-
ტერატურის წერითი ნამუშევრები განათლების სამინისტროს კომისიამ
ჩამოაფასა „3“-ზე.

ზემოთ აღნიშნული რაიონებისა და ქალაქების სკოლების კურს-
დამთავრებულ ოქროს მედალოსანთა საგამოცდო ნამუშევრებში დაშვე-
ბული შეცდომები აშკარად მიუთითებენ მშობლიური ენისა და ლიტე-
რატურის, ალგებრა და ანალიზის საწყისების სასკოლო პროგრამით გა-
თვალისწინებული მასალების არასაფუძვლიან ცოდნაზე, რაც უმაღლეს
სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზედაც დადასტურდა. იმ კურსდამ-
თავრებულთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც განათლების სამინისტროში
უარი ეთქვა ოქროს მედლით დაჯილდოებაზე, მისაღებ გამოცდებზე
ვერ შეძლო სკოლაში მიღებული ნიშნების გამართლება, უფრო მეტიც;
მათმა უმეტესობამ არადაცმაყოფილებელი შეფასება მიიღო.

მაგალითად, ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნა-
ტიდან ქ. ჩირვაძე ჩაიჭრა ბიოლოგიაში (დირექტორი ე. გვეტაძე),
ქ. ფოთის მე-3 საშუალო სკოლიდან ი. ტყემალაძე — მათემატიკაში
(დირექტორი ბ. კუტალია), გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელას
საშუალო სკოლიდან გ. იაშადაშვილი — ფიზიკაში (დირექტორი
გ. იაშადაშვილი), ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლიდან ლ. გაჩეჩი-
ლაძე — ფიზიკაში (დირექტორი უ. გიორგაძე), ზუგდიდის რაიონის
სოფელ ანაკლიის საშუალო სკოლიდან ი. მელუა — ფიზიკაში (დირექ-
ტორი პ. ბიგვაგა), ქარელის 1-ლი საშუალო სკოლიდან დ. შავდათუა-
შვილი — მათემატიკაში; ზ. ბააზოვი — ფიზიკაში, დ. ბარბაქაძე —
ფიზიკაში, ნ. ბურაკოვი — მათემატიკაში (დირექტორი ჯ. სანებლობე),
მე-2 საშუალო სკოლიდან შ. ყიფიანი — ქიმიაში (დირექტორი მ. ჭანი-
შვილი), მცხეთის საშუალო სკოლიდან გ. ნაზლაძე — ფიზიკაში (დი-
რექტორი ა. ლაშხაური), წითელწყაროს 1-ლი საშუალო სკოლიდან
მ. პოპიშვილი — ფიზიკაში (დირექტორი შ. ქადაგიძე).

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობლიური
ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ნაწილი ვერ ახერხებს სათა-
ნადო დონეზე წარმართოს მეცნიერებათა საფუძვლების სწავლება და
კურსდამთავრებულებს მისცეს მყარი ცოდნა პროგრამით გათვალისწი-
ნებული მასალის ფარგლებში.

ოქროს მედლის კანდიდატთა მიერ შესრულებული წერითი ნამუ-

შევრების ანალიზმა დაადასტურა, რომ ზოგიერთი სკოლის კურსდამთავრებულს არა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა, არაიშვიათად ვხვდებით მართლწერის ელემენტარული წესების უცოდინარობის, ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის დავიწყების ან პრაქტიკაში მისი გამოყენების უუნარობისა და ლექსი-კური შეზღუდულობის შემთხვევებს. მედლის კანდიდატთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად იცნობს შესწავლილი მხატვრული ნაწარმოების ტექსტს, რის გამოც ვერ ერკვევა მის დედააზრსა და დანიშნულებაში, არა აქვს აზრის დამოუკიდებლად გადმოცემის უნარი, მათი მსჯელობა, უმეტეს შემთხვევაში, პრიმიტიულია და მოკლებულია დამაჯერებლობას; ნაშრომებში დაშვებულია ფაქტობრივი, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სხვა სახის შეცდომები.

ანალოგიური ნაკლოვანებები გამოამჟღავნა რუსული სკოლების ოქროს მედლის კანდიდატთა რუსული ენისა და ლიტერატურის წერილი ნამუშევრების ანალიზმა. რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლის ოქროს მედლის კანდიდატი არასაკმაო ყურადღებას უთმობს ნაწარმოების მხატვრულ მხარეს. თავისუფალ თემებზე მუშაობისას ნაკლებად იყენებს კლასგარეშე კითხვისათვის და საბჭოთა ლიტერატურის კურსში საუბარისათვის პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებებს. ზოგიერთ ნამუშევარში მოცემულია შესწავლილი ნაწარმოების შინაარსი, ყოველგვარი ანალიზის, ეპიზოდების მინიშნებისა და ციტატების გარეშე. იგრძნობა ნამუშევრების ერთფეროვნება. დამახასიათებელია შეცდომები შეთანხმებებში, ზმნის მართვაში, აგრეთვე, დაშვებულია ენობრივი (სიტყვის არასწორად გამოყენება და სხვა), ორთოგრაფიული, პუნქტუაციური შეცდომები. დაბალია წერის კულტურა.

მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლების საქმეში არსებული ფორმალისმი ნათლად წარმოაჩინა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოდგენილმა მედლის კანდიდატების საგამოცდო წერით ნამუშევრებში დაშვებულმა შეცდომებმა, რომელთა ანალიზი იმაზე მიუთითებს, რომ მედლის კანდიდატთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს მათემატიკის სასკოლო კურსის მტკიცე ცოდნა, არ შესწავს მათემატიკური მსჯელობისა და დასაბუთების უნარი, მათემატიკურ გარდაქმნებში ხშირად უშვებს შეცდომებს, შეგნებულად ვერ იყენებს ფორმულებსა და თეორემებს, არ აქვს განვითარებული ლოგიკური აზროვნება, წერითი მეტყველების კულტურა, უჭირს ფუნქციის გამოკვლევა წარმოებულის გამოყენებით, ცვლადი ფესვის ქვეშ შეაქვს და გამოაქვს ნიშნის გაუთვლისწინებლად, ფუნქციის ზრდადობისა და კლებადობის შუალედებს ასახელებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ერთმანეთში ურევს ფუნქციის ექსტრემუმის წერტილებსა და ექსტრემუმებს, ღია და დახურული შუალედების აღნიშვნებს, ფუნქციის გრაფიკის აგებას იქაც აგრძელებს, სადაც ის განსაზღვრული არ არის.

მედლის კანდიდატები უხვმ შეცდომებს უშვებენ უტოლობის ამოხსნისას, ხშირად უტოლობის მარცხენა ნაწილის მამრავლებად დაშლის შემდეგ იხილავენ მხოლოდ ერთ სისტემას. სუსტად ერკვევიან არითმეტიკული კვადრატული ფესვისა და რიცხვის მოდულის ცნებებში; კვადრატული უტოლობის ამოხსნების პოვნას აიგივებენ შესაბამისი კვადრატული განტოლების ამოხსნების პოვნასთან, ტრიგონომეტრიული იგივობის დამტკიცების დროს იგივე გარდაქმნებს ასრულებენ ტოლობის ერთი ნაწილის დასაშვებ მნიშვნელობათა სიმრავლეზე, ერთმანეთში ურევენ რიცხვთა დალაგებულ წყვილსა და ორეღემენტიან სიმრავლეს, ყურადღებას არ აქცევენ ჩანაწერების რაციონალურად შესრულებას, განტოლებათა სისტემის ამოხსნისას არასწორად იყენებენ ტოლფასობისა და გამომდინარეობის ნიშნებს, ირაციონალური განტოლების ამოხსნის დროს არ ახდენენ მიღებული ამოხსნების შემოწმებას.

1981 წელს უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებაზე მისაღებ გამოცდებს აბარებდა 38561 აბიტურიენტი, რომელთაგან სხვადასხვა საგანში „2“ მიიღო 25358-მა. ოქროს მედლით დაჯილდოვებული 208 კურსდამთავრებულნიდან, არსებული მონაცემებით, მაპროფილებელი საგნით ჩაირიცხა 79, ექსპერიმენტის წესით 7, საერთო კონკურსით — 15, არ გასულა გამოცდებზე 62. შეწყვიტა გამოცდები — 27-მა, ქულა არ ეყო 15-ს, ჩაიჭრა — 3.

მასწავლეთა ცოდნის დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლები იმიტომაც მასტურდება, რომ თუ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩამბარებელთა საერთო რაოდენობის 40%-ს 1981 წლის კურსდამთავრებულები შეადგენდნენ, რომელთაგან 30% ჩაირიცხა, თელავისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში შესაბამისად ჩაირიცხა 19% და 15%.

საშუალო სკოლებში მიღებული არამყარი ცოდნისა და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების უქონლობის გამო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ ოქროს მედალოსანთა გარკვეულ ნაწილს უჭირს სწავლა. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე 1980 წელს ჩარიცხული 58 ოქროს მედალოსნიდან 17 სამოსანია, 14 — აკადემიურად ჩამორჩენილი. თუმცა საერთო კონკურსით ჩარიცხულთაგან ფრიადოსანია — 30.

მაღალტექნიკური ატესტატის მფლობელთა დიდი ნაწილის საპროგრამო მასალის არაღამაკმაყოფილებელი ცოდნა განსაკუთრებით გამოჩვენდა მათემატიკაში, ფიზიკაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში. უცხოურ ენაში (მათემატიკაში ჩაიჭრა 2343, ფიზიკაში — 829, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — 444, ქიმიაში — 138, ბიოლოგიაში — 107, გეოგრაფიაში — 51, ისტორიაში — 141, უცხოურ ენაში — 85).

გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების



შედგები, სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური წერები, ოლიმპიადები, საინსპექტორო შემოწმებები მიგვანიშნებენ, რომ სკოლებისა და სახალხო განათლების ადგილობრივ ხელმძღვანელთა საქმიანობა არაა ეფექტურ, რიგ შემთხვევაში კი კომპანიურ ხასიათს ატარებს მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებისა და სკოლის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში. ჯერ კიდევ სათანადო კონტროლისა და ყურადღების გარეშე დატოვებული იმ მოსწავლეთა ნაწილის ობიექტურად შეფასების საქმე, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მაღალ საატესტატო ქულაზე. ამიტომაც, რომ კვლავ დიდია მაღალქულიანი ატესტატების იმ მფლობელთა რაოდენობა, რომელთა ცოდნის რეალური დონე არ შეესაბამება ატესტატში შეტანილ ნიშნებს.

1979-1980 წლებში განათლების სამინისტროს კოლეგიამ გამოასაშვები და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების განხილვისას მკაცრი შეფასება მისცა თიანეთის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, ქარელის, სამტრედიის, სიღნაღის, საჩხერის, თელავის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, მახარაძის, თერჯოლის, ჩოხატაურის, წალენჯიხის ტყიბულის, ჭიათურის, ქუთაისისა და თბილისის განათლების განყოფილებების მიერ სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებისადმი გატარებულ არაეფექტურ ღონისძიებებს და არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა მათ მიერ ამ მიმართებით გაწეული მუშაობა. მიუხედავად ამისა, გასულ წელს კოლეგიის გადაწყვეტილებაში აღნიშნული რიგი სკოლების მუშაობაში არსებითი ძვრები სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის დასაძლევად არ მომხდარა. ეს დასტურდება იმითაც, რომ ჯერ კიდევ დიდია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე კვლავ არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღეს (ქ. თბილისის მე-10, 142-ე, 154-ე, 53-ე, 43-ე, 50-ე, 51-ე, 55-ე, 102-ე 150-ე, 62-ე, 151-ე, 56-ე, მე-60, 134-ე, მე-16, მე-4, 23-ე, 30-ე, 166-ე, 130-ე, 140-ე, 139-ე, 68-ე, 1-ლი და მე-2 ექსპერიმენტული, ტყიბულის 1-ლი, გორის მე-3, ჭიათურის მე-5, თელავის მე-2, ნაფარეულის, თიანეთის, ლაგოდეხის 1-ლი, ყვარლის მე-2, შიღნაღის 1-ლი, გავაზის, ახმეტის 1-ლი, მე-2, ზემო ალვანის მე-2, ქარელის 1-ლი, სამტრედიის 1-ლი, მე-3, სიღნაღის 1-ლი, საჩხერის რაიონის არგვეთის საშუალო სკოლები).

ამასთან, 1980—1981 სასწავლო წელს მაღალქულიანი ატესტატების მფლობელთაგან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს და ჩაიჭრნენ: ქ. თბილისის 63-ე, 128-ე, 162-ე, მე-19, 35-ე, მე-100, 116-ე, 169-ე, 41-ე, 46-ე, 47-ე, 58-ე, 117-ე, 152-ე, 65-ე, 87-ე, მე-3, 26-ე, 31-ე,

36-ე, 160-ე, 118-ე, 112-ე, 141-ე, ქ. თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის, ქუთაისის მე-12, მე-20, 23-ე, 33-ე, ფოთის მე-6, მე-10, ჭიათურის 1-ლი, მე-9, რუსთავის მე-4, მე-10, 21-ე, გორის 1-ლი, მე-6, ტყიბულის 1-ლი, მე-2, კურსების, ზუგდიდის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6, წყალტუბოს 1-ლი, მე-3, სოხუმის მე-5, მე-13, ვაგარის რაიონის ხეივნის 1-ლი, ვალის 1-ლი, გულრიფშის 1-ლი, ოჩამჩირის რაიონის კუტოლის, ბათუმის 1-ლი, მე-2, 23-ე, ხელვაჩაურის რაიონის ურეხის, ქედის რაიონის წონიარისის, ქობულეთის მე-8, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის, ალამბრის, სოფელ ქობულეთის, ჩაქვის, ხულოს, დიოკნისის, ფუშრუკაულის, შუახევის რაიონის ტბეთის, დარჩიძეების, ცხინვალის მე-6, მე-11, ლენინგორის მე-2, ჯავის, ცხინვალის რაიონის არცევის, აბაშის 1-ლი, ადიგენის რაიონის არლის, უდის, ასპინძის, ახალქალაქის რაიონის ბურნაშეთის, ალასტანის, ახალციხის 1-ლი, ახმეტის რაიონის მატნის 1-ლი, დუისის, ბოგდანოვის, რუსული, განძის მე-2, ტორიის, განმანის მე-2, ბოლნისის ქართული, რატევიანის, ახალდაბის, ვანის 1-ლი, შუაგორის, მთისძირის, გარდაბნის რაიონის ტაბახმელას, გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის, ბანძის, გორის რაიონის მეჯვრისხევის, ფლავის, ძევერის, გურჯაანის 1-ლი, ველისციხის, არაშენდის, კარდანახის, ბაკურციხის, კაჭრეთის, დმანისის რაიონის განახლების, მამიშლოს, შინდლიარის, საჯას, დუშეთის 1-ლი და მე-2, ზესტაფონის მე-2 და მე-3, მეორე სვირის 1-ლი, ზუგდიდის რაიონის ზედა უწყრის, ნარაზენის, დარჩელის, ყაზბეგის, ქარელის რაიონის აგარის, ბრეთის, ყვარლის რუსული, საბუის, ახალსოფლის 1-ლი, ენისლის, ლაგოდეხის მე-3, აფენის, ლანჩხუთის 1-ლი, სუფსის, ლენტეხის რაიონის ყახუნდრის, ჩიხარეშის, ლენტეხის სკოლა-ინტერნატის, მარნეულის 1-ლი, თაზაქენდის, აღამედლის, მახარაძის 1-ლი, მე-2, მე-4, ნატანების, მაიაკოვსკის ფერსათის, მესტიის, 1-ლი; მე-2, მცხეთის 1-ლი, დიდმის, წეროვანის, მისაქციელის, ორჯონიკიძის რაიონის ვახანის, საგარეჯოს 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, ჩაილუარის, ბაღაურის, სამჭრედის რაიონის იანეთის, საჩხერის მე-2, ჭალის, არგვეთის, სიღნაღის რაიონის წნორის 1-ლი, მე-3, ანავის, ბოლშისხევის, მალაროს, თელავის მე-3, მე-5 და მე-6, წინანდლის, თერჯოლის 1-ლი და მე-2, რუფოთის, ჩხარის, თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის, თიანეთის რაიონის დუღულუბის, სიმონიანთხევის, ნაქალაქარის, ხაშურის მე-3 და მე-4, ქვიშხეთის, სურამის 1-ლი, წალენჯიხის, რაიონის ჯგალის, ლიის, ობუჯის, ჯვრის რუსული, წალკის 1-ლი, ხაჩკოვოს, ლივადის, წითელწყაროს რუსული, მანხანის, არხილოსკალოს, ჯაფარიძის, წულუკიძის 1-ლი, მათხუჯის, ცხაკაიას 1-ლი, მე-3 და მე-5, ძველი სენაკის, ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის, კონხარის, ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები.



შემაღნიშნული ნაკლოვანებები მიუთითებენ იმაზე, რომ ცნობა-
ში დასახელებული ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფი-
ლებები პრინციპულ მომთხოვნელობას ვერ იჩენენ სკოლების ხელმ-
ძღვანელთა მიმართ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების, სწავ-
ლების მეთოდების, სრულყოფისათვის. ისინი სუსტად აკონტროლებენ
და წარმართავენ სკოლების საქმიანობას, მუშაობის ეფექტიანობის
ამაღლებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის
ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტის საქმეს, საკმაო ყურადღებას
არ აქცევენ შინასასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრულ-
ყოფას, სასკოლო ინსპექტურის ეფექტიანობას. |

სკოლების სამმართველო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
საქართველოს ალკ კენტრალური კომიტეტის სამდივნოს
და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური
კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის 17 დეკემბრის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა
და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების
შ ე ს ა ხ ე ბ

საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების წარმატებით
განხორციელებისა და მისი შემდგომი სრულყოფისათვის, სწავლებისა
და აღზრდის დონის ამაღლების, მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის,
მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შე-
ქმნისა და აღზრდაში ოჯახისათვის დახმარების გაწევის, გახანგრძლივე-
ბული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების სას-
წავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, მათი მუშაობის ძირეულად
გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიამ, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ
და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. ჩატარდეს გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებისა და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერება 1981
წლის დეკემბრიდან 1982 წლის მაისამდე;

1. 1. დამტკიცდეს: გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლებისა და ჯგუფების დათვალიერების დებულება (დანარ-
თი № 1);

1. 2. რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა (დანართი № 2).

2. დათვალიერება ჩატარდეს ორ ეტაპად:

I — ადგილობრივი — სარაიონო (საქალქო) კომისიის მიერ,

II — რესპუბლიკური კომისიის მიერ.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტ-
როებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონე-
ბის სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო გა-
ნათლების სამმართველოს, ადგილობრივ კომკავშირულ და პროფკავში-
რულ ორგანიზაციებს შექმნან გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების დათვალიერების ადგილობრი-
ვი კომისიები;

3. 1. ადგილობრივმა კომისიებმა დათვალიერების მასალები გად-
მოუგზავნონ რესპუბლიკურ კომისიას (საქართველოს სსრ განათლების



სამინისტროს სკოლების სამმართველო) 1982 წლის 15 აპრილამდე

4. რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამოს დათვალიერების შედეგები და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს 1982 წლის მაისისათვის.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
ო. შინქლაძე

საქართველოს ალკვ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
მ. ზიკლაური

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა
და ჯგუფების 1-ლი რესპუბლიკური დათვალიერების
შ ე ს ა ხ ე ზ**

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების დათვალიერება ტარდება საქართველოს სსრ განათლების სა-
მინისტროს, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს,
განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუ-
შაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ
1981 წლის დეკემბრიდან 1982 წლის მისამდე.

დათვალიერების ამოცანები

1. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ჯგუფებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულ-
ყოფა, მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისა და აღზრდილობის დონის ამა-
ღლება, მათი აღზრდა ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების
ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე, საბჭოთა ხალხის რევო-
ლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე.

2. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფებისათვის სასწავლო-მეტრიალური ბაზის, აღსაზრდელთათ-
ვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, მათი სამედიცი-
ნო მომსახურების გაუმჯობესება.

3. საშეფო ორგანიზაციებთან — კოლმეურნეობებთან, საბჭოთა
მეურნეობებთან, სამრეწველო საწარმოებთან და სხვა დაწესებულებებ-
თან კავშირის დამყარება.

დათვალიერება ტარდება შემდეგი საკითხების მიხედვით:

1. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები-
სა და ჯგუფების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმის, მეცა-
დინეობის ყოველდღიური და ყოველკვირეული განრიგის არსებობა,
დასახულ დონისძიებათა კონკრეტულობა.

2. საშინაო დავალებათა შესასრულებლად მეცადინეობის ჩატარე-
ბის ორგანიზაცია და მეთოდოლოგია, აღმზრდელების კავშირი საგნის მას-
წავლებლებთან;

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, პატრიოტული და ინტერნა-
ციონალური აღზრდა;

მოსწავლეთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა;

აღსაზრდელთა შრომითი სწავლება და აღზრდა, ტექნიკური შემო-
ქმედების განვითარება, შრომისა და დასვენების ორგანიზაცია.

ბავშვების ფიზიკური მომზადება (კლასგარეშე სპორტული მუშაობა, თამაშები), მშთ კომპლექსის ნორმების ჩაბარება. |

3. გახანგრძლივებული დღის სკოლების შენობებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების სამეცადინო და დასასვენებელი ოთახების სანიტარული მდგომარეობა; მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობა, კანალიზაციისა და წყალმომარაგების მდგომარეობა. აღსაზრდელთა მიერ პირადი ჰიგიენის დაცვა. პროფილაქტიკური შემოწმების დროულად ჩატარება, შტატების დაკომპლექტება მედიცინის მუშაკებით.

4. მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია:

სასადილოებისა და სამზარეულოს სანიტარული მდგომარეობა, მათი უზრუნველყოფა საჭირო ტექნოლოგიური აღჭურვილობითა და ჭურჭლით;

კვების პროდუქტებით მომარაგება (ხორცი, რძე, კარაქი, წვენები, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვა), კერძების მრავალფეროვნება და კალორიულობა, მათი ვიტამინიზაცია;

საცდელ ნაკვეთებზე მოყვანილი კვების პროდუქტების გამოყენება; აღსაზრდელთა მომსახურების კულტურა, მათი კულტურული ქცევის ჩვევები, პურისა და სხვა კვების პროდუქტებისადმი პატივისცემა. |

5. მოსწავლეთა საქინებლების რბილი და მაგარი ინვენტარით აღჭურვა (ლოჯინითა და თეთრეულით, მაგიდებით, სკამებით, ტანსაცმლისა და წიგნების კარადებით, სარკეებით, პირსაბანებით, საკიდებით), ტანსაცმლის, თეთრეულის, ფეხსაცმლის, თავსამკაულის მდგომარეობა და შენახვა.

დასასვენებელი, სათამაშო და გასართობი ოთახების გამოყოფა კეთილმოწყობა.

6. პედაგოგიური კადრები, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციაში და აღსაზრდელთათვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში მაღალი მაჩვენებლების მქონე ცალკეული აღმზრდელებისა და მთლიანი კოლექტივის გამოცდილების შესწავლა. |

7. კავშირი შეფ ორგანიზაციებთან, სამრეწველო საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან, მათი მონაწილეობა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფებისათვის სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებაში.

რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა

1. კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)
2. წიკლაური მ. პ. — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ვარდოსანიძე გ. ბ. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. სუჯაშვილი კ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
5. კერესელიძე ო. დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი
6. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე
7. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელი მუშაობის სამმართველოს უფროსი
8. აფხაზავა ბ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი
9. ძლიერიშვილი ვ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი
10. ბერუჩაშვილი ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაგეგმვისა და აღრიცხვის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის გამგე
11. ჭუმბაძე გ. პ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
12. ფირცხალავა შ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო-მეთოდური ცენტრის მეთოდისტი
13. ზიბზიბაძე ს. კ. — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ინტერნატული დაწესებულებების მეთოდური კაბინეტის გამგე
14. იაშლაშვილი ნ. — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების საქალაქო ინსტიტუტის ინტერნატული ტიპის სასკოლო დაწესებულებების მეთოდკაბინეტის გამგე
15. ნოზაძე ნ. — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი
16. ივანიძე ნ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
17. ჟორჯოლაძე ა. ს. — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგე

დათვალიერების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა დაჯილდოება

სახალხო განათლების განყოფილებები, კომკავშირის რაიკომები, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტები 1982 წლის 15 აპრილამდე საორგანიზაციო კომიტეტში წარმოადგენენ ინფორმაციას დათვალიერების შედეგების შესახებ და, აგრეთვე, წინადადებებს საუკეთესო კოლექტივებისა და მუშაკების წახალისების შესახებ.

საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივები, ადგილობრივი კომიტეტები, კომკავშირული ორგანიზაციები, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, აღმზრდელები, პროფკავშირისა და კომკავშირის აქტივისტები, რომლებმაც გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს, დაჯილდოვდებიან განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცკ-ის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელით.

გამარჯვებული სკოლებისა და ჯგუფების დასაჯილდოვებლად რაიონის განათლების განყოფილებებს დამატებით გამოეყოფათ სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად ცენტრალიზებული თანხები.

- I ადგილისათვის — 1000 მანეთი
- II ადგილისათვის — 700 მანეთი
- III ადგილისათვის — 500 მანეთი



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სპეცნიერო
დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი
1981 წლის 17 დეკემბრის ბ ა ლ ა ყ ვ ე ტ ი ლ ე ვ ა**

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო
სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების
საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შედეგების
შ ე ს ა ხ ე ბ**

რესპუბლიკის ხახალხო განათლების განყოფილებებმა და ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებმა საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) დახმარებითა და მონაწილეობით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების დათვალიერების ჩატარების საქმეში.

სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებამ ხელი შეუწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მათთვის საჭირო სათავსების გამოყოფა-გაფართოებას; დგამ-ავეჯით, დაზგა-დანადგარებით, მოწყობილობით, ინსტრუმენტებით, სამარჯვებით, ხელსაწყო-იარაღებითა და ნაბეჭდი თვალსაჩინოებით აღჭურვას.

რესპუბლიკის 2645 რეაწლიანი და საშუალო სკოლიდან სასწავლო სახელოსნო ლითონის დამუშავებისათვის მოწყობილია 642 სკოლაში; მერქნის დამუშავებისათვის — 1157-ში, კომბინირებული (ლითონისა და მერქნის დამუშავებისათვის) — 1054-ში და სასწავლო კაბინეტ-საყოფაცხოვრებო შრომის სწავლებისათვის — 220 სკოლაში.

დათვალიერების პერიოდში ახალი კეთილმოწყობილი სასწავლო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტები მოიწყო რესპუბლიკის 34 სკოლაში, სახელოსნო და კაბინეტები შეიქმნა 140.328 მანეთის ხელსაწყო-იარაღებითა და ჩარხებით. უკეთ მოაწყვეს სასწავლო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტები ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის და ამბროლაურის, ქობულეთის, ბათუმის, საგარეჯოს, თერჯოლის, ცხაკაიასა და სხვა რაიონების სკოლებმა.

რესპუბლიკის რიგი რაიონებისა და ქალაქების რეაწლიან და საშუალო სკოლებში არსებულ სასწავლო სახელოსნოებსა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტებში გაიზარდა მოსწავლეთა ინთიცილიზური და საერთო სარგებლობის სამუშაო ადგილების რაოდენობა, შეკეთდა და მწყობრში ჩადგა დაზიანებული დაზგები, დანადგარები და ჩარხები. ამ საქმეში უკეთ იმუშავეს ცაგერის, თერჯოლის, ლანჩხეთისა და სხვა რაიონების სკოლებმა.

მიუხედავად ამისა, დათვალიერებამ გამოავლინა არსებითი თვის ნაკლოვანებები: როგორც სკოლებში სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტებისათვის ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი სათავსოები, ზოგან კი ეს სათავსოები შეუფერებელია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. როგორც დათვალიერების ჩატარების შედეგების მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ბევრ სკოლაში შრომითი სწავლებისათვის შექმნილი არაა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების მიერ ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნებს.

სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების საზოგადოებრივ დათვალიერებაში მონაწილეობა არ მიიღეს ახმეტის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ხობის, წითელწყაროს, თეთრიწყაროს, ცაგერისა და თიანეთის რაიონებმა. ამჟამად რესპუბლიკის 2645 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან არც ერთი თი სახის სასწავლო სახელოსნო არ აქვს 353 სკოლას.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სკოლების ერთ ნაწილში არსებული სასწავლო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტები მოთავსებულია მცირე ფართობის შეუფერებელ ოთახებში; უზრუნველყოფილი არ არის ყველა საჭირო დანადგარით, ხელსაწყო-იარაღითა და სამუშაო მასალებით; მოუწყობილია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, დაცული არაა დანადგარებს შორის დებულებით გათვალისწინებული ვაბარიტული ზომების ნორმები, უსაფრთხო მუშაობისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

კეთილმოწყობილია ჭიათურის მე-2, მე-5, მე-7, სვირის, ხრეთის საშუალო, რცხილათის, ეწერის, მოძღვეთის რვაწლიან, თბილისის 61-ე, 56-ე, 101-ე, 102-ე, 165-ე, ზუგდიდის რაიონის ქართულ, ჭკადლუანის, ახალაბასთუმნის, ოდიშის მე-2 საშუალო, საბერძნეთის რვაწლიან, ქ. გორის მე-2, მე-8, მე-9 საშუალო და ზოგი სხვა სკოლის სახელოსნოები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების მოწყობა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, განათლების, უმაღ-



ლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, რაიონული და საქალქო კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

1. მიიღონ საჭირო ზომები იმ ზოგადსაგანმანათლებლო რვა-წლიან და საშუალო სკოლებში სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების მოსაწყობად, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი;
1. 2. იზრუნონ ამჟამად არსებულ სასწავლო სახელოსნოებსა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტებში მოსწავლეთა ინდივიდუალური და საერთო სარგებლობის საჭირო რაოდენობის სამუშაო ადგილების მოსაწყობად;
1. 3. სისტემატიურად იზრუნონ სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების შევსებაზე „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სასწავლო მოწყობილობათა ნუსხის“ შესაბამისად;
1. 4. უზრუნველყონ სასწავლო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტები აუცილებელი სამუშაო მასალებით;
1. 5. რაიონის (ქალაქის) ერთ-ერთ სკოლაში სანიმუშოდ მოაწყონ ტექნიკური შრომის სასწავლო სახელოსნოები და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტები, გახადონ ისინი მთელი რაიონის (ქალაქის) ამ საგნის მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნების ცენტრად;
1. 6. გააძლიერონ კონტროლი სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასა და მათ მოვლა-პატრონობაზე, არ დაუშვან ამ ქონების ვადამდე ამორტიზება;
1. 7. აღინიშნოს ახმეტის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, სიღნაღის, ჩოხატაურის, ხობის, წითელწყაროს, თეთრიწყაროს, ცაგერის, თიანეთის რაიონების განათლების განყოფილებათა (გამგეები ა. ბაკურაძე, ი. ჩქარეული, შ. ლონდაძე, რ. ბეჟაშვილი, მ. კეკელიძე, შ. ხარებავა, მ. ბიღიაშვილი, თ. მელაძე, დ. კოპალიანი, ვ. ობგაიძე) სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების რესპუბლიკური დათვალეირების ჩატარების საქმეში არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.
2. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტები ხელსაწყო-იარაღებით, დაზგა-დანადგარებით, ნაბეჭდი დიდაქტიკური და სამუშაო მასალებით. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა და სასწავლო მოწყობილობათა ტიპობრივი ნუსხის შესაბამისად.
3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალეირების მაღალ დონეზე ჩატარებისა და სახელოსნოებისა და კა-

ბინეტების სანიმუშოდ მოწყობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომებითა და ინვენტარ-მოწყობილობათა შესაძენად ფულადი პრემიით (200—200 მანეთი) დაჯილდოვდნენ:

— ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. მეტურისვილი)

— ქ. მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლა (დირექტორი ხ. ხავთასი)

— ქ. ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლა (დირექტორი გ. ალავიძე)

— ზუგდიდის რაიონის ანაკლიის საშუალო სკოლა (დირექტორი პ. ბიგვავა)

— ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. პაქსაშვილი)

— ქ. ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა (დირექტორი შ. ჯინჭარაძე)

— ქ. ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. ჩიკაშუა)

— საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის საშუალო სკოლა (დირექტორი ს. ზაჩატურიანი)

— ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა (დირექტორი კ. სიხარულიძე)

— ქ. ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. ხუბავეცი)

3. 1. დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებითა და განათლების განყოფილებების საპრემიო ფონდიდან ფულადი პრემიით 50—50 მანეთის ოდენობით:

— ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ა. კალანდაძე)

— ქ. მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ი. მუჯირი) და მახარაძის მე-3 საშუალო სკოლის საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელი (ლ. ხეზულოვა).

— ქ. ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ვ. კობაძე) და საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელი (ნ. მაღრაძე);

— ზუგდიდის რაიონის ანაკლიის საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ა. ჭაავა) და სობოვის დაწყებითი სკოლის შრომის მასწავლებელი (ვ. ჩალიჩავა);

— ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ვ. კაკულია), 22-ე საშუალო სკოლის საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელი (ც. ვასაძე);

— ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებლები (ც. ჯაფარიძე, ვ. ლალიაშვილი);

— ქ. აბროლაურის მე-2 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ნ. დოხნაძე) და საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელი (მ. ჯაფარიძე);

— ქ. ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (გ. გოგუაძე) და ლანჩხუთის რაიონის ქვემო აკეთის საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ჯ. ჭანტური-შვილი);

— საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (ნ. დოლენჯაშვილი);

— ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (გ. ბერძენიშვილი) და მე-13 საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი (გ. გაბუნია);

— ქ. ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის ტექნიკური შრომის მასწავლებელი (ზ. გასიევი) და საყოფაცხოვრებო შრომის მასწავლებელი (გ. კოჩიევი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათ-
ლების მინისტრი

ო. შინქლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება

საშემსრულებლო დისციპლინის ამალღებისა და კონტროლის გაძლიერების თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე

განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მოისმინა რა ამხ. თ. ჩუბინიძის ინფორმაცია „საშემსრულებლო დისციპლინის ამალღებისა და კონტროლის გაძლიერების თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე“, გადაწყვიტა:

1. ამხ. თ. ჩუბინიძის ინფორმაცია „საშემსრულებლო დისციპლინის ამალღებისა და კონტროლის გაძლიერების თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე“ მიღებულ იქნას ცნობად (თან ერთვის).

2. მინისტრის თანაშემწემ (ამხ. ბ. მეგრელიძე) ყურადღება გაამახვილოს დოკუმენტების კონტროლზე აყვანასა და მიღებული დოკუმენტაციის დროულად და კუთვნილებისამებრ განაწილებაზე.

3. აპარატის სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის განათლების სამმართველომ 1982 წლის I კვარტალში განიხილონ აღნიშნული ინფორმაცია, პრინციპული მსჯელობის საგნად გახადონ მათ მუშაობაში არსებული კონკრეტული ნაკლოვანებანი და დასაზღოვნ ქმედითი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. თ. ჩუბინიძე) 1982 წლის I კვარტალის ბოლოს მომახსენოს აღნიშნული საოქმო გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **მ. ქინძლაძე**

საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლებისა და კონტროლის გაძლიერების თაობაზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1981 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში საშემსრულებლო დისციპლინის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე

შემოწმებამ ცხადყო, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებში და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ერთგვარად გაუმჯობესდა საქმისწარმოება, ამაღლდა თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე, გაძლიერდა კონტროლი შემდგომი ორგანოებიდან მიღებულ დავალებათა წარმატებით გადასაჭრელად.

საანგარიშო პერიოდში, ე. ი. 1981 წლის 1 იანვრიდან 1 დეკემბრამდე შემდგომი ორგანოებიდან მიღებულია 2056 დოკუმენტი. მათგან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან — 774.

შემდგომი ორგანოებიდან მიღებული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვს შესაბამისი დოკუმენტების შექმნას.

11 თვის განმავლობაში სამინისტროს სამმართველო-განყოფილებების მიერ შემუშავდა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ დაეგზავნა 208 ცირკულარული წერილი, 61 ბრძანება და კოლეგიის 38 გადაწყვეტილება, სულ — 307 დოკუმენტი, რომელთა ადგილებზე განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას.

საერთო მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ აღმოიფხვრა ზოგიერთი თითქოს „უმნიშვნელო“ ხარვეზები, რომლებიც საერთო ჯამში, მაინც ჩრდილს აყენებენ ჩვენს მუშაობას.

მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც სამმართველო ამა თუ იმ დოკუმენტს დაგვიანებით და კანცელარიის გვერდის ავლით, კუთვნილებისამებრ გადასცემს პირდაპირ სამმართველოს, ან შესრულების ვადის გაგრძელებაზე ნებართვას ითხოვს ვადის, დარღვევის შემდეგ.

არაიშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამმართველოები პასუხს აგზავნიან შემდგომ ორგანოებში დავალების ნომრისა და თარიღის გარეშე, ან მათი კანცელარიის გვერდის ავლით ესა თუ ის დოკუმენტი პირდაპირ ხვდება დაინტერესებულ მუშაკთან. ასეთ შემთხვევა-

ში არ ხდება ჩვენთან გადმოვავნილი დავალების კონტროლიდან მო-
ხსნა, რაც იწვევს ამ დოკუმენტზე ხელახალი პასუხის გაგზავნას. შეს-
რულებაზე სრულყოფილი კონტროლის გაძლიერებას დიდად უშლის
ხელს ის გარემოებაც, რომ საერთო კანცელარიას კონტროლზე არ აყავს
ყველა ის დოკუმენტი, რომლებიც პასუხს, ან სათანადო რეაგირებას
მოითხოვენ.

აღნიშნული მდგომარეობა აფერხებს დოკუმენტის დროულად შე-
სრულებას და მის მოძებნას. არის შემთხვევები, როდესაც კონტროლზე
აყვანილი დოკუმენტების ბარათებზე მინიშნებული არ არის დოკუმენ-
ტის შესრულების ვადა, მისი მოკლე შინაარსი, რაც ასევე აძნელებს ამ
დოკუმენტის დროულად შესრულებაზე კონტროლის გაძლიერებას.

ასე მაგალითად, ამხ. ო. ჩერქეზიას 1981 წლის 20 იანვრის
№ 62/8 დავალება, რომლის შესასრულებლად მითითებული იყო ვადა
5 დღე, ჩვენი კანცელარიის გვერდის ავლით, ურეზოლუციოდ მოხვდა
შემსრულებელთან (აღმზრდელიობითი მუშაობის სამმართველოში), რა-
მაც ძალზე გააძნელა მისი მიგნება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 თებერვლის
№ № 710, 711, 712, 713 დადგენილებები სკოლებისათვის გამოჩე-
ნილ პირთა სახელების მიკუთვნების შესახებ, ფოსტის არასწორად გა-
ნაწილების გამო, მოხვდა ამხ. ო. დოლიძესთან, ნაცვლად აღმზრდელი-
ბითი მუშაობის სამმართველოსი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 თებერვლის
დადგენილებით 1 აპრილიდან დროის ახალ გაანგარიშებასთან დაკავ-
შირებით სამინისტროებს ევალებოდათ შესაბამისი ბრძანებების დაშვე-
ბა. აღნიშნული დოკუმენტი არა თუ კონტროლზე არ იყო აყვანილი,
არამედ მასზე ბარათიც კი არ იყო გახსნილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდან არასრულწლოვანთა საქ-
მებთან დაკავშირებით შემოსული ყველა დოკუმენტი ითხოვს რეაგი-
რებას და 10 დღის ვადაში პასუხის გაგზავნას, მაგრამ არც ერთი ასე-
თი დოკუმენტი სამინისტროს კანცელარიას კონტროლზე არ აქვს აყ-
ვანილი, ხოლო ზოგიერთზე ბარათიც კი არაა გახსნილი.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამინისტროს აპარატის საერთო
კანცელარიაში არ ხდება ყველა იმ განცხადება-საჩივრის კონტროლზე
აყვანა, რომლებზეც პასუხის გაგზავნაა საჭირო.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები შეინიშნება, ასევე, განცხა-
დება-საჩივრების განხილვისას.

1981 წლის I—III კვარტალში შემოსული 2145 განცხადება-სა-
ჩივრიდან 617 განცხადება-საჩივრის ნაცვლად კონტროლზე აყვანი-
ლია 151 განცხადება-საჩივარი.

ჯერ კიდევ ადგილი აქვს განცხადება-საჩივრების დაგვიანებით
შესრულების ფაქტებს. საანგარიშო პერიოდში ერთ თვეზე მეტ დროში



შესრულდა 72 განცხადება-საჩივარი, მათგან ვადა არ იყო გატყუებული 12-ზე.

ვადების დარღვევით არის შესრულებული სკოლების სამმართველოს 6 განცხადება-საჩივარი, სკოლა-ინტერნატების სამმართველოს — 1 და კაპიტალური მშენებლობის განყოფილების. — 5 განცხადება-საჩივარი.

კაპიტალური მშენებლობის განყოფილებაში ჯერ კიდევ დიდია იმ განცხადება-საჩივრების რიცხვი, რომლებზედაც პასუხი საერთოდ არ არის გაცემული, რითაც ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულება „მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“.

ხშირია, აგრეთვე, შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი განათლების ორგანოების მიერ ირღვევა მათთვის შესასწავლად გადაგზავნილ კორესპონდენციებზე დაწესებული ვადები.

ასეთ შემთხვევებს ბოლო პერიოდში ადგილი აქვს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ყვარლის, წყალტუბოს, მესტიის, ქუთაისის, გარდაბნის, მარნეულის, ხაშურის, რუსთავისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებში.

მაგალითად, 1980 წლის 10 დეკემბერს კონტროლზე აყვანილი მოქ. ნ. ხაჩატურიანის განცხადება ოდიშის რვაწლიან სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ განსახილველად გადაეგზავნა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, რომლისგანაც პასუხი განათლების სამინისტრომ მხოლოდ 5 თვის შემდეგ მიიღო.

მესტიის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ა. ჩხვიშიანი) სამინისტროს 3 თვის დაგვიანებით აცნობა პასუხი მესტიის 1-ლ საშუალო სკოლაში მოსწავლე ხერგიანის ჩარიცხვის შესახებ, ხოლო წყალტუბოს ზონის განათლების განყოფილებამ (გამგე მ. ინასარიძე) მოქ. მ. ილინის განცხადებაზე პასუხის გაცემა თვენახევრით დაიგვიანა.

ვადის დიდი დარღვევითაა განხილული მოქ. მოქ. გაჯიმაძეძეძის, დეკანოზიშვილის, ც. შუკაკიძის, ბარათშვილის განცხადებები ყვარლისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებებში (გამგეები: ამხ. ამხ. რ. შავგულიძე, გ. აბუანაძე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო განათლების ინსპექცია იმედს გამოთქვამს, რომ სამინისტროს აპარატის მუშაკები მტკიცედ იხელმძღვანელებენ სკკპ და საქართველოს კპ 26-ე ყრილობათა გადაწყვეტილებებით და არ დაიშურებენ ძალასა და ენერჯიას, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ საშემსრულებლო დისციპლინა და საბოლოოდ აღმოფხვრან ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი.

სახალხო განათლების ინსპექცია

საქართველოს სსრ ბანათლავის სამინისტროს 1981 წლის
30 დეკემბრის ბრძანება № 876

მეცნიერული გამოკვლევებისა და მოწინავე პედაგოგიური
გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის,
გამოყენებისა და ამ მუშაობის შემდგომი
სრულყოფის შესახებ

პედაგოგიკის მეცნიერებათა დარგში გამოკვლევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში სისტემატური დანერგვა და გამოყენება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებასა და სრულყოფას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ამ მიმართებით რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სისტემის სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ სამსახურებს, სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლებს გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული.

ამასთან, განათლების დარგში პედაგოგიურ მეცნიერებათა მიღწევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების, სასკოლო პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების მეგობარობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ საქმეში დღესდღეობით სერიოზული ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. კერძოდ, მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა გარკვეული ნაწილი ნაკლებად არის ინფორმირებული თანამედროვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მიღწევებში. არ არსებობს პედაგოგიკის მეცნიერებათა მიღწევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების, სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის მწყობრი სისტემა, განათლების ორგანოები და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები ქმედით დახმარებას ვერ უწევენ მასწავლებლებს; ი. გომბაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები, სხვა მეთოდური სამსახურები ყოველთვის არ გამოდიან პედაგოგიკის მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების აქტიური, თანმიმდევრული პროპაგანდისტების და დანერგავების როლში. სათანადოდ არ არის ამ საქმეში გამოყენებული რესპუბლიკური ექსპერიმენტული და სხვა საბაზო სკოლები, ზოგჯერ ექსპერიმენტები ტარდება დადგენილი წესის დაუცველად, სათანადო მეცნიერული დასაბუთებისა და სასწავლო-მეთოდური საბჭოს, კოლეგიის გვერდის ავლით. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ სკოლების, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი სხვადასხვა მეთოდური, თუ საინსტრუქციო ხასიათის მითითებების მიცემას, რომელთა შინაარსი ყო-



ველთვის შეთანხმებული არ არის სამინისტროს შესაბამის სამმართველო-განყოფილებებთან და ხელმძღვანელობასთან. ყოველივე ეს უზრუნველყოფს გაუგებრობას და საგრძნობ ზიანს აყენებს სახალხო განათლების მუშაობის სწორ ორგანიზაციას. ნაკლებად გამოიყენება პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობები. სათანადო ქმედითუნარიანობას არიან მოკლებული სასკოლო, რაიონული, საქალაქო მეთოდგაერთიანებები, ნაკლებეფექტიანი და, რაც შემთხვევებში, მეცნიერულად არასრულყოფილია რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებზე გამოტანილი მოხსენებები, რიგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მათი მოადგილეები, სათანადო კვალიფიკაციისა და პრაქტიკული დახელოვნების უქონლობის გამო, ვერ უწევენ საჭირო კონტროლსა და მეთოდურ დახმარებას საგნის მასწავლებლებს, კლასის ხელმძღვანელებს.

მეცნიერული გამოკვლევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის, გამოყენებისა და ამ მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:!

მეცნიერული გამოკვლევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის, გამოყენებისა და ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით იხელმძღვანელონ ამ ბრძანებითა და მასზე დართული რეკომენდაციებით (დანართები: № 1, № 2)!

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი), სასკოლო მუშაობის რესპუბლიკურ მეთოდურ ცენტრთან (ამხ. ზ. როგავა) ერთად, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს აღნიშნული რეკომენდაციების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის ღონისძიებანი.

3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებულმა პედაგოგიკურ კვლევათა რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ ყოველი წლის აპრილში წარმოადგინოს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სკოლების მუშაობის პრაქტიკაში დასანერგავად რეკომენდებული კვლევის შედეგების ნუსხა!

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია). ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელოს რესპუბლიკურ პედაგოგიკურ კითხვებზე წარმოდგენილ მოხსენებათა მეცნიერული დონისა და მათი პრაქტიკული ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, გადაჭრით გააუმჯობესოს მეცნიერული გამოკვლევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის საქმე, მოახდინოს მათი აპრობაცია!



პირველ რიგში ექსპერიმენტულ და საბაზო სკოლებში, შემდგომში მათი მასობრივად დანერგვის მიზნით.

5. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და სკოლის ცხოვრებაში დანერგვის მიზნით. ამ საქმეში უფრო აქტიურად ჩააბას მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები და მათი საბაზო სკოლები.

6. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“, ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. გოგელია) თავიანთ ფურცლებზე მეტი ადგილი დაუთმონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებას როგორც ჩვენში, ისე მოკავშირე რესპუბლიკებში. ამ მიმართებით მუშაობის გაუმჯობესებისათვის პერიოდულად შეისწავლონ პრაქტიკოს პედაგოგთა ინტერესები, რისთვისაც მოაწყონ რედაქციის მუშაკთა, სარედაქციო კოლეგიების წევრთა შეხვედრები მოწინავე მასწავლებლებთან.

7. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან (ამხ. მ. დარჩია) და სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან ერთად (ამხ. დ. გვალია) შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს მეცნიერული გამოკვლევებისა და მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვის საქმეში კინოსა და რადიო-ტელევიზიის გამოყენების გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

8. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (ამხ. ბ. აფხაზავა) უზრუნველყოს 1982 წელს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის საბაზო სკოლის მშენებლობის დაწყება.

9. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) გააუმჯობესოს ავტორებთან მუშაობა, დააჩქაროს და სრულყოს მეცნიერული და მეთოდური ლიტერატურის გამოცემა, მისი სრულად დაყვანა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებამდე.

10. მკაცრად აღიკვეთოს სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი, სახალხო განათლების სხვა ორგანოებისადმი მეთოდური თუ ორგანიზაციული ხასიათის მითითებების მიცემა სამინისტროს შესაბამის სამმართველო-განყოფილებებთან და ხელმძღვანელებთან შეთანხმების გარეშე.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

მინისტრი **ო. შინქაძე**

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს რეკომენდაციები

სამეცნიერო-პედაგოგიური კვლევის შედეგების სასკოლო პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საღირებეტივო დოკუმენტებში არაერთხელ არის მითითებული, რომ საბჭოთა მეცნიერების მიღწევები ითვლება სოციალისტური საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან პირობად. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის 26-ე ყრილობაზე ამხ.ლ. ი. ბრეჟნემა თქვა: „გადამწყვეტი, მეტნაკლებად მძიმე უზანი დღეს არის მეცნიერებათა მიღწევებისა და გამოგონებათა დანერგვა“. სკოლისა და სახალხო განათლების დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკაში თანამედროვე პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების დანერგვა დამოკიდებულია ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების შემდგომ სრულყოფაზე.

დანერგვა გულისხმობს პედაგოგიურ პრაქტიკაში მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში, ახლის ან გაუმჯობესებულის შეტანას და გამოხატულებას პოულობს სწავლებისა და აღზრდის მეთოდების შინაარსსა და ფორმებში. იგი ითვალისწინებს სახალხო განათლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ავალდებს შესაბამისი დარგის დაწესებულებებს თავიანთ მუშაობაში გამოიყენონ პედაგოგიკის მეცნიერების მიღწევები, რომლებიც შეტანილია სახელმძღვანელოებში, პროგრამებში, ინსტრუქციებში, დამხმარე მასალებში, სასწავლო მოწყობილობებში, სწავლების ტექნიკურ საშუალებებში და სხვა.

ამასთან ერთად, მეცნიერული მიღწევების დიდი ნაწილი ყოველთვის როდი გამოიყენება მიზნობრივად და სავალდებულო წესით. მათ იყენებენ პრაქტიკაში მასწავლებლისა და განათლების დარგის სხვა მუშაკების სურვილის მიხედვით და არჩევით. ეს არის სხვადასხვა სახის მეთოდური ხელმძღვანელობა, დამხმარე საშუალებანი, რეკომენდაციები, მათ შორის როგორც ძირითადი სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა, ასევე პრაქტიკული რეკომენდაციები, გამომდინარე სადისერტაციო გამოკვლევებიდან და მეცნიერული მონოგრაფიებიდან. მეცნიერებათა მიღწევების ამ ნაწილის პროპაგანდას ორგანიზაცია უნდა გაუკეთონ სახალხო განათლების ორგანოებმა.

განათლების დარგში პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების დანერგვისა და გამოყენების მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ, გარკვეული მიღწევების მიუხედავად, ამ საქმეში არის რიგი არსებითი ნაკლოვანებანი. მათ განეკუთვნება მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა არასაკმარის ინფორმირება თანამედროვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მიღწევებში, პრაქტიკაში დანერგვის ზუსტი სის-



ტემის არსებობა, შემთხვევითობა სამეცნიერო ნაშრომის არჩევასა და გამოყენებაში, განათლების ორგანოებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ მასწავლებლებისადმი არასაკმაო დახმარება, პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების დანერგვისა და გამოყენების საკითხების სუსტი დამუშავება. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები და მეთოდური სამსახურის სხვა დაწესებულებები ყოველთვის როდი გამოდიან პედაგოგიკურ მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების აქტიური პროპაგანდისტების როლში.

არსებული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით სსრ კავშირის განათლების სამინისტრო სკოლისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკაში პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების დანერგვისა და გამოყენებისათვის იძლევა შემდეგ რჩევას:

1. სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა (სსრ კავშირში პედაგოგიკის კვლევითმა საკოორდინაციო საბჭომ) აკადემიამ ყოველწლიურად წარმოუდგინოს სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოწონებულ ანოტირებული ნუსხა (ჩვენი ქვეყნის მასშტაბით საერთო მნიშვნელობის მქონე) იმ მასალების თანდართვით, რომლებიც რეკომენდებულია სკოლებში ან სახალხო განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებში დასანერგავად, მათი მომზადების ფორმის, მეთოდებისა და ობიექტების გათვალისწინებით.

ამათანავე გამოიგზავნება სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურა (გამოცემული ან პრესაში გამოსაცემად მომზადებული მეთოდური მასალები, რეკომენდაციები, ცალკეული მონოგრაფიები და სხვა, რომლებიც რეკომენდებულია მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკების მიერ მუშაობის პრაქტიკაში გამოსაყენებლად ან მათი საერთო პედაგოგიური ცოდნის დონის ასამაღლებლად).

სსრ კავშირის განათლების სამინისტროში წარმოდგენილი ყველა მასალა წინასწარ უნდა იყოს შემოწმებული და შეფასებული ინსტიტუტებში (სწავლულთა საბჭოზე, საექსპლუატაციო ჯგუფებში და სხვა). ამ მუშაობის წესი დგინდება სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ.

2. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები განსაზღვრავენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის (სსრ კავშირში პედაგოგიკის კვლევის საკოორდინაციო საბჭო) მიერ დასანერგავად რეკომენდებულ სამეცნიერო მიღწევათა შედეგების მიზანმიმართულებასა და შესაძლებლობას, შეიმუშავებენ დანერგვისათვის საჭირო აუცილებელი უზრუნველყოფის პირობების დონისძიებებს (შრომების გამოცემა, სწავლების საშუალებათა წარმოება, დანერგვისათვის საჭირო სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის აუცილებელი კომპლექტის განსაზღვრა, მასწავლებელთა მომზადებაში კორექტივების შეტანა და სხვა), ასევე რეკომენდაციას იძლევიან მას-

წავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა შორის გასავრცელებელ მასალებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პედაგოგიურ პრაქტიკაში. პედაგოგიურ პრაქტიკაში დასაწინააღმდეგებელ მეცნიერებათა მიღწევების საკითხს ყოველწლიურად განიხილვენ კოლეგიაზე, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას წარმოდგენილ მასალებზე.

3. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა, სამხარეო და საოლქო განათლების განყოფილებებმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების შესასრულებლად უზრუნველყონ რეკომენდებული ლიტერატურის და სწავლების საშუალებათა დანერგვა და გამოყენება.

მათ შორის:

— ადგილებზე დაიყვანონ დასაწინააღმდეგებელი მიღებული გადაწყვეტილებანი;

— ორგანიზაცია გაუკეთონ რეკომენდებული მასალების პროპაგანდას;

— მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და მეთოდური მუშაობის სხვა დაწესებულებების მეშვეობით უზრუნველყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკაში დანერგვა;

— გამოავლინონ და გაავრცელონ პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიღწევების დანერგვისა და გავრცელების დარგში მოპოვებული მოწინააღმდეგეობები;

— შეისწავლონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა დაწესებულებების მუშაკთა წინადადებები დანერგილი და დასაწინააღმდეგებელი მასალების გაუმჯობესების შესახებ;

— განსაზღვრონ პრაქტიკაში დასაწინააღმდეგებელი ნაშრომების ეფექტიანობა.

— დანერგვისათვის გაშლილ მუშაობაში ფართოდ ჩააბან უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებების მუშაკები.

4. მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებმა შეიმუშაონ პედაგოგიკის მეცნიერებათა იმ მიღწევების პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების მსგავსი ღონისძიებანი, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური მნიშვნელობა მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის ან რეგიონისათვის.



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რეკომენდაციები

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სახალხო განათლების
ორგანოების მიერ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების
შესწავლის, განზოგადებისა და პრაქტიკაში
დანერგვის შესახებ

მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების საფუძვლიანი შესწავლა, განზოგადება და პრაქტიკულ მუშაობაში შემოქმედებითად დანერგვადი დად უწყობს ხელს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფა-გაუმჯობესებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ამ მიმართულებით ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის სახალხო განათლების განყოფილება, მეთოდური კაბინეტი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან და თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ. მაგრამ, როგორც ირკვევა, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების დარგში დღესდღეობით სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

ამ საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი ის არის, რომ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადება ჯერ კიდევ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა საყოველთაო საქმედ არ აქციეს, არ მისცეს მას მასობრივი ხასიათი.

მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და პრაქტიკაში დანერგვის საქმეში არაიშვიათად შეინიშნება შემთხვევითობა, ზედაპირულობა და ფორმალიზმი, ამ საქმიანობას არ გააჩნია გარკვეული მიზანმიმართულება და მტკიცედ არ არის ჩაყენებული მოზარდი თაობის სწავლების, კომუნისტური აღზრდისა და განათლების გაუმჯობესების სამსახურში.

იმისათვის, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა, მეთოდურმა კაბინეტებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა სრულყოფილ და აამაღლონ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და პრაქტიკაში დანერგვის ხარისხი, საჭიროა გაითვალისწინონ:

1. მოწინავეთა გამოცდილება, საერთოდ, წარმოიქმნება ინიციატივის, თაოსნობის საფუძველზე, რაც დროთა ვითარებაში მასობრივი ხდება, სისტემად იქცევა და ახალ, პროგრესულ, ეფექტურ მეთოდად ყალიბდება. ამიტომ, ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი მოწინავეთა თაოსნობას, რათა რაც შეიძლება მეტი მიმდევარი ჰყავდეს ამ სასარგებლო და საჭირო ინიციატივას;

2. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ცალკეული სას-



კოლო ამოცანა რა მეთოდებით, გზებითა და საშუალებებით სწავლებითაა წარმატებით, რამდენად რაციონალური და ეფექტიანია ეს მეთოდები. სახელდობრ, რით უწყობს ხელს შრომისნაყოფიერების ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებას, პრაქტიკულად რა ხერხებით წყდება რაოდენობისა და ხარისხის პრობლემა დადებითად. იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა შედარებით მოკლე დროში და ნაკლები ენერჯიის დახარჯვით გადაიჭრება, ამ შედეგების მიღწევის მეთოდები გამართლებული იქნება და, მაშასადამე, მათი საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზი, განზოგადება და პრაქტიკაში შემოქმედებითად დანერგვა მიზანშეწონილია;

3. განზოგადებისათვის ისეთი მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი თუ სკოლის სხვა მუშაკი უნდა შეირჩეს, რომელიც პედაგოგიურ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უნარიანი გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ეფექტური მეთოდების, მეოხებით განუხრელად იცავს სწავლებისა და აღზრდის ზოგადდოქტრინულ პრინციპებს და თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს.

ასეთი ნოვატორი პედაგოგი მეტნაკლებად ყველა ქალაქში, რაიონსა და სკოლაშია, საჭიროა მხოლოდ მათი გამოვლენა. თითოეულის საქმიანობის ღრმად შესწავლა და შედეგების, გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია;

4. მოწინავე გამოცდილების მქონე სკოლის მუშაკი, მასწავლებელი ფენომენად, პედაგოგიკის მეცნიერებაში განსაკუთრებულ მოვლენად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ — ჩვეულებრივ, სკოლია რიგით მუშაკად, რომელსაც აქვს სხვებისაგან განსხვავებული, თავისი საკუთარი ხელწერა, სტილი, რამდენადმე უკეთესი მეთოდები, სწავლებისა და აღზრდის მეტი უნარით, მონდომებით ხასიათდება და შედეგებიც უკეთესი აქვს.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ყველა მოწინავე პედაგოგი ვერ იქნება ტალანტი, მაგრამ შრომისმოყვარე, ახლის მაძიებელი, გამომგონებელი, შემოქმედი კი უსათუოდ უნდა იყოს.

5. გამოცდილების შესწავლის ყველაზე გავრცელებული და ეფექტური საშუალებებია ვაკეითელების მოსმენა, კლასგარეშე და სკოლის-გარეშე ღონისძიებებზე დასწრება, ყველა საქმიანობის უშუალოდ გაცნობა. აქ მთავარი მნიშვნელობა მოსმენისა და ნახვის რაოდენობას კი არა აქვს, არამედ — შედეგების ღრმა ანალიზს, სწორი დასვენების ჩამოყალიბებას, მუშაობის უმთავრესი, განმსაზღვრელი საშუალებების დანახვასა და ნათლად გამოკვეთას.

6. მოწინავეთა გამოცდილების შესწავლის ერთ-ერთი სასარგებლო ფორმაა პედაგოგის წერილობითი მასალების გაცნობა, დამუშავება და სისტემაში მოყვანა. წერილობითი მასალები შეიძლება იყოს გამოცდილების ამსახველი წიგნები, ბროშურები, საჟურნალო და საგაზეთო სტატიები, მეთოდური წერილები და ა. შ. ამ მასალებიდან საჭიროა ავიღოთ უფრო ტიპური, დამახასიათებელი მონაცემები, მოვახდინოთ

მათი სინთეზი და ჩამოვყალიბოთ კონკრეტული დასკვნები, რომელთა დატვლივნიება სხვა მასწავლებლებსაც დაენმარება სასწავლო-აღმზრ-დელობითი პროცესის სრულყოფაში.

7. გამოცდილების გაცნობის ყველაზე პოპულარული საშუალებაა სკოლის მუშაკის გამოსვლა მოხსენებით, ლექციით აუდიტორიის წინაშე. ამ მიზნისათვის გამოიყენება სასკოლო და რაიონული (საქალაქო) მეთოდური გაერთიანებები, პედაგოგიური საბჭო, პედაგოგიური ვითხვა, თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, მასწავლებელთა აგვის-ტოსა და იანვრის კონფერენციები.

ამავე მიზანს ემსახურება ღია გაკვეთილები, დამრიგებლობა, მოწინავე გამოცდილების სკოლები, ტელეგაკვეთილები, რადიოგადაცემები და სხვა საშუალებანი.

8. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადებისა და პრაქტიკაში დანერგვის საქმე დიდ სიფრთხილესა და წინდახეულებას მოითხოვს. სახალხო განათლების ორგანოებისა და მეთოდური კაბინეტების მუშაკებს უნდა ახსოვდეთ, რომ ესა თუ ის მეთოდი არასოდეს არ არის უნივერსალური და არც გამოცდილება არსებობს უნივერსალური! შესაძლებელია, რომელიმე მეთოდი, ხერხი ერთი მასწავლებლისათვის ხელსაყრელი იყოს, მაგრამ იგივე მეთოდი მიზანშეუწონელი აღმოჩნდეს ამავე საგნის სხვა მასწავლებლებისათვის. ამიტომაც, ყოველგვარი შაბლონი, ტრაფარეტი, დოგმა საზიანოა სწავლა-აღზრდის საქმისათვის. მოწინავე გამოცდილება შემოქმედებითად უნდა დაინერგოს პრაქტიკაში.

ამ შემთხვევაში ყველას უნდა გვახსოვდეს კ. უშინსკის მითითება იმის თაობაზე, რომ მასწავლებელს „გადაეცემა გამოცდილებიდან გაომდინარე აზრი და არა თვით გამოცდილება“.

მეთოდის, გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენება იმას ნიშნავს, რომ სხვისი გამოცდილება ჩვენს სააზროვნო აპარატურაში გადამუშავდეს, ჩვენი შემეცნებაში გარდაისახოს და ისეთ „შესწორებულ“ მეთოდად ჩამოყალიბდეს, რომელიც მიზანშეუწონელი, სასარგებლო აღმოჩნდება ჩვენი მუშაობის თავისებურებისათვის, სპეციფიკისათვის, სავსებით მიესადაგება და შეესატყვისება მას.

სახალხო განათლების ორგანოებმა, მეთოდური სამსახურის დაწესებულებებმა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება იმგვარად უნდა განზოგადონ, რომ მან კატალიზატორის როლი შეასრულოს სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, ხელი შეუწყოს სასკოლო მუშაობის არსებითად გაუმჯობესებას, სახალხო განათლების დარგში სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

სკოლების სამმართველო



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1981 წლის 30 დეკემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 877

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა
სასწავლო მუშაობით გადატვირთვის, საშინაო დავალების
დოზირებისა და ამ საქმეში მდგომარეობის გაუმჯობესების
ლონისძიებათა შე ს ა ხ ე ბ

სკოლების მუშაობაზე ხანგრძლივი დაკვირვება და ჩატარებული საინსპექტორო შემოწმების მასალები ცხადყოფენ, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი გადატვირთულია სასწავლო მუშაობით, ძალზე დიდ დროს ახმარს საშინაო დავალებათა შესრულებას.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ბევრი მასწავლებელი თვითნებურად ზრდის სასწავლო დატვირთვას იმ მასალის ხარჯზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული ოფიციალური სასწავლო პროგრამებით. ხშირია შემთხვევები, როცა ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლები აიძულებენ მოსწავლეებს პროგრამული მასალის დამატებით იმუშაონ რთულ, მათთვის ძნელად მისაწვდომ პირველწყაროებზე, დოკუმენტებ-სა და სხვა მასალებზე. არცთუ იშვიათად ასევე იქცევიან ბიოლოგიის მასწავლებლები, რომლებიც სავალდებულოდ უხდიან მოსწავლეებს შეისწავლონ თეორიული თვალსაზრისით რთული საკითხები, რომლებიც ცილდებიან ბოტანიკის, ზოოლოგიის, ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სასკოლო კურსს.

მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის მასწავლებლებს, ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეებთან ერთად გაიარონ ამ მეცნიერებათა საფუძვლები, ხშირად იტაცებთ ისეთ უახლეს თეორიებზე, კანონებსა და აღმოჩენებზე მსჯელობა, რომლებიც არც პროგრამებითაა გათვალისწინებული და არც ყოველთვის დასაძლევია მოსწავლეთა მიერ.

პროგრამის მოცულობის ეს თვითნებური „გაფართოება“ ხდება იმ დროის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ პროგრამული მასალის ათვისების, ამ პროგრამით გათვალისწინებულ უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს არ შესწევს სათანადო უნარი რაციონალურად გამოიყენოს დრო კლასში შესწავლილი მასალის განმტკიცებისათვის, საშინაო დავალების შინაარსისა და შესრულების წესის განმარტებისათვის. ნაცვლად ამისა, ადგილი აქვს ისეთ მიუღებელ პრაქტიკას, როგორცაა საშინაო დავალების მიცემა გაკვეთილის მიწურულს ან შესვენებაზეც კი.

თითქმის ყველა საგანში, არამარტო VIII—X, არამედ დაწყებით კლასებშიც კი, მოსწავლეებს ეძლევათ სრულიად უსარგებლო, შინაარსობრივად რთული დავალებები, რომლებიც არ გამოიმ-



დინარეობენ სასწავლო მუშაობის მოთხოვნებიდან, ართმევენ მოსწავლეებს დიდძალ დროს, ვერ თავსდებიან დადგენილი ნორმის ფარგლებში. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მოსწავლეებს აიძულებს გადაიწეროს კლასში შესრულებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების დროს გაკეთებული ჩანაწერები, შეადგინოს რთული დიაგრამები, სქემები, ცხრილები, გააკეთოს ჩანახატები, მოამზადოს მოხსენებები და ა. შ. ტარდება საკლასო და საკონტროლო წერითი სამუშაოები, ეძლევათ წერითი საშინაო დავალებები ისეთ საგნებში, როგორცაა ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და სხვა. უფრო მეტი, საშინაო დავალებებს აძლევენ მოსამზადებელი კლასების მოსწავლეებსაც კი.

სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ვერ ახორციელებენ საჭირო კონტროლს მასწავლებელთა მიერ ამ მიმართებით ჩატარებულ მუშაობაზე, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ გაკვეთილების ცხრილის შედგენის მეცნიერულ და მეთოდურ მოთხოვნებს, კლასებისა და საგნების მიხედვით ჩასატარებელ საკონტროლო წერით სამუშაოთა სწორ დაგეგმვას.

არც სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები უთმობენ საჭირო ყურადღებას სასწავლო სამუშაოებით მოსწავლეთა გადატვირთვისა და საშინაო დავალების დოზირების არსებულ მდგომარეობას, არღებულობენ ქმედით ზომებს ამ საჩქეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ბოლო ხანებში რესპუბლიკის რიგ სკოლებში ირღვევა განვლილი მასალის გამეორების სისტემა. ცალკეული მასწავლებლები უგულებელყოფენ გასამეორებელი მასალის იმგვარად შერჩევას, რომ იგი თემატიკისა და იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით უკავშირდებოდეს ახალს. ამგვარ პრაქტიკას მიეყვართ სემესტრის ბოლოს დიდძალი მასალის მექანიკურ თავმოყრასთან, რის გამეორება პედაგოგიური თვალსაზრისით მიზანშეუწონელი ხდება, სწავლაზე გულს უცრუებს ბავშვებს და სკოლასა და მშობელს შორის გაუგებრობას იწვევს.

ხშირად ალკკ და პიონერული ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებები ემთხვევა სასწავლო პროცესს, რაც იწვევს გაკვეთილებიდან მოსწავლეთა მოწყვეტას. უფრო მეტი, რესპუბლიკის რიგი რაიონების სკოლები ხანგრძლივი დროით მასობრივად ვაკეათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, გაცდენილი დროის ანაზღაურება კი ხდება პროგრამული მასალის „შემჭიდროებისა“ და საშინაო დავალებებით მოსწავლეთა უზომოდ გადატვირთვის გზით.

მოსწავლეთა უზომოდ გადატვირთვის მიზეზი, ხშირად, პედაგოგიკაში გაუთვითცნობიერებელი მშობელია, რომელიც ცდილობს ბავშვი ერთდროულად ჩააბას სხვადასხვა სახის წრებში (სპორტული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული, უცხოურ ენათა და სხვა), სკოლები კი არაძლევენ მათ განმარტებებს მოსწავლეთა მიდრეკილებებისა და შესაძლებლობათა შესახებ. არალოგიკური შეცდომებისაგან არც ის მასწავლებ-



ლები არიან დაზღვეულნი, რომელნიც ცდილობენ ერთი და იგივე მოსწავლე ჩააბან სხვადასხვა ფაკულტატივში, მიაღებინონ მონაწილეობა თითქმის ყველა სახის ოლიმპიადასა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები, აგრეთვე რაიონული (საქალაქო) მეთოდკაბინეტები ნაკლებ დახმარებას უწევენ მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელებს გაკვეთილების ცხრილების რაციონალური შედგენის, გაკვეთილის ხარისხის ამაღლების, საშინაო დავალებათა დოზირების საქმეში, არ აძლევენ საჭირო მეთოდურ მითითებებსა და რეკომენდაციებს, როგორ შეამცირონ სასწავლო მუშაობითა და საშინაო დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვა.

მივაქცევ რა სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელთა, მასწავლებელთა, სასკოლო ინსპექტორთა და მეთოდისტთა ყურადღებას აღნიშნულ ნაკლოვანებებს, მათი დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებლებმა:

1. 1. უზრუნველყონ თითოეული მოსწავლის მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალის სრულყოფილად დაუფლება, არ დაუშვან მისი თვითნებური გაზრდა, რასაც მიეყვარათ მიუწვდომელი, დაუძლეველი დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვამდე;

1. 2. აამაღლონ თითოეული გაკვეთილის ხარისხი, მიაღწიონ იმას, რომ ახალი მასალის ათვისება ხდებოდეს ძირითადად გაკვეთილებზე;

1. 3. არ დაუშვან საშინაო დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვა, რისთვისაც:

— მკაცრად დაიცვან საშინაო დავალებად მისაცემი მასალის მოცულობა, მისი დადგენილ ნორმებში შესრულების, შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

— გაკვეთილზე მოახდინონ საშინაო დავალების შინაარსისა და შესრულების წესის საფუძვლიანი განმარტება;

— გამოუმუშაონ მოსწავლეებს ცოდნის დამოუკიდებლად შეძენის უნარ-ჩვევები;

— მიიღონ ზომები, რათა საგნობრივ წრეებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მოსწავლეთა ჩაბმისას გათვალისწინებულ იქნას მათი ინტერესები, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები.

2. დაწყებითი სკოლების გამგე მასწავლებლებმა, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა:

2. 1. უზრუნველყონ სასწავლო დატვირთვის თანაბარი განაწილება თითოეულ კლასზე კვირის ყველა სამუშაო დღის მიხედვით, ამ ამოცანა

ნის განხორციელების მიზნით, გაკვეთილების ცხრილის შედგენისას იხელმძღვანელონ შემდეგით:

— ცალკეული საგნების გაკვეთილები თანაბარზომიერად გაანაწილონ კვირის თითოეულ სამუშაო დღეზე, მოცემული თემის შესწავლისათვის სასწავლო პროგრამით გამოყოფილი საათების გათვალისწინებით, გაკვეთილის ცხრილში ბოლო საათი არ მისცენ ე. წ. რთულ საგნებს;

— არ დაუშვან რომელიმე საგანში გაკვეთილის გაორკეცება, გარდა ლიტერატურისა მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში, საკონტროლო წერების ჩატარებისათვის და ღიშვიკისა — ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისათვის;

— არ დაუშვან გაკვეთილების ერთ დღეს თავმოყრა იმ საგნებში, რომლებიც დაძაბულ გონებრივ შრომასა და რთულ, დიდი მოცულობის საშინაო დავალებათა შესრულებას მოითხოვს. ამრიგად, თავი დააღწიონ გაკვეთილების ცხრილში ე. წ. „რთულ“ და „ადვილ“ დღეებს.

2. 2. იქონიონ საკონტროლო წერიტი სამუშაოების გრაფიკი ცალკეული კლასების მიხედვით სემესტრის განმავლობაში და მკაცრი კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მიერ მის ზუსტ შესრულებაზე.

გრაფიკის შედგენისას გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ:

— ერთ სამუშაო დღეს არ უნდა დაუშვან კლასში ერთზე, ხოლო კვირის განმავლობაში ორზე მეტი საკონტროლო წერიტი სამუშაოს ჩატარება;

— საკონტროლო წერიტი სამუშაოები ჩატარდეს მხოლოდ მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულ სკოლაში — ქართულ ენაში), მათემატიკაში, უცხო ენაში, აგრეთვე ამოცანების ამოხსნაზე ფიზიკასა და ქიმიაში.

2. 3. მკაცრი კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროგრამის ზუსტ შესრულებაზე, ფიზიკად აღევნონ თვალი, რათა ადგილი არ ექნეს პროგრამიდან თვითნებურად გადახრას ან გაფართოებას, რათა არ იქნენ მოსწავლეები გადატვირთული მეტისმეტად დიდი და რთული მასალით.

2. 4. საშინაო დავალებათა შინაარსისა და მოუცლელობის განსაზღვრის დროს მკაცრად იხელმძღვანელონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების შემდეგი მოთხოვნით:

საშინაო დავალების მომზადებისათვის საკმარისი უნდა იყოს: I კლასში — 1 საათი დღეში, II კლასში — 1,5 საათამდე, III და IV კლასებში — 2 საათამდე, V-VI კლასებში — 2,5 საათამდე, VII კლასში — 3 საათამდე, VIII-X(XI) კლასებში — 4 საათამდე.

2. 5. გაკვეთილების მოსმენისა და ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებლის მიერ საშინაო დავალებად

მისაცემი მასალის შინაარსის ახსნას, მისი შესრულების წესის განმარტებას, რამდენად შეესაბამება იგი მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

2. 6. პერიოდულად შეამოწმონ საშინაო დავალებებით მოსწავლეთა დატვირთვის მდგომარეობა ცალკეულ საგნებში.

2. 7. გამეორებისას აუცილებლად გაითვალისწინონ ძველი და ახალი მასალის იდეურ-თემატური კავშირუბრუნობა, მკაცრად აღიკვეთოს განვლილი მასალის ერთად მიცემის მავნე პრაქტიკა უქმე და არდადეგების დღეებში. გათვალისწინებულ იქნას ის გარემოება, რომ უქმე და არდადეგების დღეები გამიზნულია არა დამატებით შრომის, არამედ ხალისიანი დასვენებისა და კარგად მოფიქრებული აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

3. 1. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების, რაიონული (საქალქო) მეთოდკაბინეტების, სასკოლო და სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებათა მეშვეობით გაუწიონ დახმარება მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებს საგაკვეთილო ცხრილების შედგენის, გაკვეთილების ხარისხის ამაღლების, კლასებსა და ცალკეულ საგნებში საშინაო დავალებათა შინაარსისა და მოცულობის განსაზღვრის საქმეში;

3. 2. დააწესონ კონტროლი სკოლებისა და მასწავლებელთა მიერ აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვის მიმდინარეობაზე;

3. 3. მოაწიონ ამ ბრძანების განხილვა კოლექტივზე, სახალხო განათლების საბჭოებსა და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

4. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) სკოლებში არსებული მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოამზადონ რეკომენდაციები მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელებისათვის, როგორ ავიცილოთ თავიდან სასწავლო მუშაობითა და საშინაო დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვა; სასკოლო მუშაობის რესპუბლიკურმა მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ზ. როგავა) ადგილებზე ჩასვლით ქმედითი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) სისტემატურად შეამოწმოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა სასწავლო მუშაობით დატვირთვისა და საშინაო დავალებათა დოზირების მდგომ-

მარეობა, ამ საქმეში არსებული თითოეული დარღვევის ფაქტი განადგობს მკაცრი მსჯელობის საგნად, მანვე განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

ნ. ბრძანების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“, დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებაში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

შინისტრი **წ. ქინძლაძე**



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეჯისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1981 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ-ში 1981 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების შესახებ

განათლების სამინისტროს კოლეჯია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანოების აქტიური მონაწილეობით მაღალი მომთხოვნილობის პირობებში ჩატარეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია. ატესტაციამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, მოწინავე კადრების წარმატებას, მათი შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებას და იგი მორალურ-მატიერიალური სტიმულირების ღონისძიებად იქცა.

1981 წელს რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლი, რომელიც უნდა გაეკეთა 2590 მასწავლებელს.

მოქმედი დებულების შესაბამისად ატესტაციაში ჩაბმული არ იყო 470 მასწავლებელი, მათ შორის:

— ახალგაზრდა სპეციალისტები	129
— მასწავლებლები, რომლებიც მოციმულ სკოლაში ერთ წელზე ნაკლებ დროს მუშაობენ	109
— ორსული ქალები	60
— ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ბავშვები ჰყავთ	73
— მასწავლებლები, რომლებიც ხანგრძლივად მკურნალობენ	13
— მასწავლებლები, სადაც დირექტორები პირველ წელს მუშაობენ	86

ატესტაცია გაიარა 2066 მასწავლებელმა, რაც რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 2,8 პროცენტს შეადგენს.

ატესტაციის შედეგების მიხედვით შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და მიენიჭა წოდებანი: „მასწავლებელ-მეთოდისტისა“ 8-ს, „უფროსი მასწავლებლისა“ — 24 მასწავლებელს. შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და მიეცა სხვა სახის წახალისებანი 314 მასწავლებელს. მათ შორის დაჯილდოვდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ნისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ რესპუბლიკის განათლების სამინისტროსა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელით — 95, სხვა ჯილდოებით — 132 მასწავლებელი. შეეფერება დაკავებულ თანამდებობას 1391; შეეფერება დაკავებულ თანამდებობას საატესტაციო კომისიების რეკომენდაციების შესრულების პირობით 326; არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას 3.

ამას გარდა, პირადი განცხადებით ატესტაცია არ გაუვლია და პედაგოგიური სამუშაო დატოვა 54 მასწავლებელმა.

მუშა ჯგუფები არ დაეთანხმნენ სკოლების წინადადებებს მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების 24 შემთხვევაში, ხოლო საატესტაციო კომისიები მუშა ჯგუფების დასკვნებს — 5 შემთხვევაში.

1981 წელს ატესტაცია პირველად უნდა გაეგლო წინა წლებში სხვადასხვა მიზეზით ატესტაციაგაუვლელ 8127 მასწავლებელს.

დებულების შესაბამისად ატესტაციაში ჩაბმული არ იყო 4928 მასწავლებელი, მათ შორის:

— ახალგაზრდა სპეციალისტი	3038
— მასწავლებლები, რომლებიც მოცემულ სკოლაში ერთ წელზე ნაკლებ დროს მუშაობენ	419
— ორსული ქალები	325
— ქალები, რომლებსაც ერთ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები ყავთ	726
— მასწავლებლები, რომლებიც ხანგრძლივ მკურნლობას გადიან	75
— პენსიონერი მასწავლებლები, რომლებიც სამუშაოდ მოწვეული არიან გარკვეული ვადით	28
— მასწავლებლები, სადაც დირექტორები პირველ წელს მუშაობენ	317

ატესტაცია გაიარა 3175 მასწავლებელმა, რაც რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა საერთო რაოდენობის (74676) 4,3 პროცენტს შეადგენს.

ატესტაციის შედეგად შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და მიენიჭათ წოდებანი „მასწავლებელ-მეთოდისტისა“ 1-ს, „უფროსი მასწავლებლისა“ 11-ს. შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და მიეცა სხვა სახის წახალისებანი 399 მასწავლებელს. მათ შორის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ 83, განათლების სამინისტროსა და განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელით 135, სხვა ჯილდოებით 181 მასწავლებელი.

ამას გარდა, ატესტაციის შედეგად შეეფერება დაკავებულ თანამდებობას 2475; შეეფერება დაკავებულ თანამდებობას საატესტაციო

კომისიების რეკომენდაციების შესრულების პირობით 288; არ რეგულირდება დაკავებულ თანამდებობას 1.

ატესტაცია არ გაუვლია და პირადი განცხადებით განთავისუფლდა პედაგოგიური სამუშაოდან 24 მასწავლებელი.

საატესტაციო კომისიები მუშა ჯგუფების დასკვნებს არ დაეთანხმნენ მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების 4 შემთხვევაში.

საატესტაციო კომისიებისა და მუშა ჯგუფების სხდომები ტარდება ზოდა დებულების შესაბამისად. მასწავლებელთა ატესტაციის საკითხებზე შემოვიდა რამდენიმე განცხადება, რაზედაც შესაბამისი პასუხები გაიგზავნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ატესტაციის პირველ და მეორე ციკლებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობა. თუ 1975—1976 სასწავლო წლის დასაწყისში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უმაღლესი განათლების მქონე 50049 მასწავლებელი მუშაობდა, 1980—1981 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მათმა რაოდენობამ 57063 შეადგინა, ე. ი. უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა რაოდენობა 12,3 პროცენტით გაიზარდა.

ატესტაციამ, აგრეთვე, ხელი შეუწყო მასწავლებელთა იდეურ-თეორიული დონის, პედაგოგიური ოსტატობისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას, უფრო სრულყოფილი გახდა შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი. სკოლის ხელმძღვანელები უფრო ხშირად ესწრებოდნენ გაკვეთილებს, უფრო ღრმად აანალიზებდნენ მათ და ყოველდღიურ, საქმიან დახმარებას უწევდნენ მასწავლებლებს. ასეთმა კონტროლმა და დახმარებამ ხელი შეუწყო მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას. მასწავლებლები გულდასმით ემზადებოდნენ გაკვეთილებისათვის, უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა სასწავლო კაბინეტების, სპორტული მოედნებისა და საცდელი მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობას, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების მომზადებასა და გამოყენებას.

მაგრამ ატესტაციის ჩატარების საქმეში კვლავ შეიმჩნევა ნაკლოვანებები, მასწავლებელთა ერთი ნაწილი, რომელმაც ატესტაციის შედეგად სხვადასხვა სახის რეკომენდაცია მიიღო, ცოტას მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. მოისუსტებს კონტროლი და დახმარება, ამიტომაც ხშირად წარმოდგენილი მასალები დაუმუშავებელია, აკლია კონკრეტულობა შეუსაბამობა დასკვნებსა და რეკომენდაციებს შორის, ადგილი აქვს არაობიექტურობის ფაქტებს, მასწავლებელთა ატესტაციის დებულების დარღვევის შემთხვევებს (ახალქალაქის, ბოგდანოვიკის, გეგეჭკორის, წალკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონები).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს!

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქალაქ თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

1. 1. მასწავლებელთა ატესტაციის მეორე ციკლის მთავარ ამოცანად მიიჩნიონ ეფექტიანობის ამაღლება, ატესტაციის ქმედითობის გაძლიერება, როგორც მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საქმეში სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნებიდან გამომდინარე, პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალება.

1. 2. სრულყოფილი ატესტაციის ჩატარება მის ყველა ეტაპზე. უზრუნველყოფილი სკოლებში, განსაკუთრებით მცირეკომპლექტიან რვაწლიან და დაწყებით სკოლებში, ატესტაციის მაღალ დონეზე ჩატარება, აამაღლონ შინადასკოლო ხელმძღვანელობისა და კონტროლის დონე. სხვა მასალებთან ერთად ფართოდ გამოიყენონ სკოლების შემოწმების საინსპექტორო მასალები მასწავლებელთა საქმიანობის ყოველმხრივი დახასიათებისათვის. აქტიურად ჩააბან ატესტაციაში სასკოლო ინსპექტორები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და მეთოდური კაბინეტების მეთოდისტები, ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა ატესტაციის საუკეთესო გამოცდილებას და მიაღწიონ მის პრაქტიკაში დანერგვას.

1. 3. არ დაუშვან ფორმალიზმი და ლიბერალიზმი მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისა და ატესტაციის შედეგად რეკომენდაციების მიცემაში. ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი მიდგომა შეუთავსონ მასწავლებლობისათვის ყურადღებთან და გულისხმიერ დამოკიდებულებას. უფრო მეტად წარმოაჩინონ მასწავლებელთა, როგორც აღმზრდელთა საქმიანობა. ამასთან, გაითვალისწინონ კლასის კოლექტივისა და ყოველი მოსწავლის აღზრდილობის, მათი საზოგადოებრივი აქტიურობის, შრომისადმი მომზადებისა და პროფესიის შეგნებული არჩევის დონე.

1. 4. აქტიურად განაზოგადონ მასწავლებელ-მეთოდისტებისა და უფროსი მასწავლებლების მოწინავე გამოცდილება, მიაღწიონ პედაგოგიური კოლექტივების პრაქტიკაში მის დანერგვას.

1. 5. გააძლიერონ ატესტაციის აღმზრდელითი შემოქმედება პედაგოგიურ კოლექტივებში, ცალკეულ მასწავლებელთა ქცევაში ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად და შექმნან შეურიგებლობის ატმოსფერო მათ მიმართ.

1. 6. მასწავლებელთა ატესტაცია გამოიყენონ პედაგოგიური კადრების შერჩევის, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომი სრულყოფის სტაბილური პედაგოგიური კოლექტივების შექმნის საშუალებად. ატესტაციის შედეგად წახალისებული მასწავლებელ-მეთოდისტები, უფროსი მასწავლებლები, მოწინავე პედაგოგები გაბედულ-

ლად წარადგინონ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაწინაურებლად.

1. 7. მუდმივი კონტროლი განახორციელონ მასწავლებელთა ატესტაციის მსვლელობასა და მათ მიერ საატესტაციო კომისიებისაგან მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. ყოველმხრივ აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელებისა და სახალხო განათლების ორგანოების პასუხისმგებლობა ამ მუშაობის ორგანიზაციისა და მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავის ინსტიტუტებმა:

2. 1. სრულყოფილი ატესტაციის შედეგების მიხედვით რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობა, მათთვის ადგილებზე მოაწირონ გამსვლელი სემინარები და მოკლევადიანი კურსები სპეციალური პროგრამით, ყველა საკურსო ღონისძიება დაამთავრონ შემაჯამებელი მუშაობით, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ კურსების მსმენელები.

2. 2. საქმიანი კონტაქტები დაამყარონ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან. აქტიური მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა ატესტაციის სრულყოფილად ჩატარებაში, მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათება-დასკვნების შედგენაში, საატესტაციო და მოწინავე მასწავლებელთა მუშაობა-გამოცდილების განზოგადებაში.

3. ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს (ამხ. ა. ვაჩნაძე) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებას (ამხ. ა. ჟორჯოლაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
მ. ქინძლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
დ. იოსელიანი

РЕШЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



О дальнейшем укреплении пожарной безопасности на объектах Министерства просвещения Грузинской ССР 30 декабря 1981 года

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что в соответствии с приказом Министерства просвещения ГССР за № 397 от 29 мая 1980 года, органы народного образования республики совместно с местными органами пожарной надзора в общеобразовательных школах и дошкольных учреждениях проделали определенную работу для улучшения состояния пожарной безопасности, в результате чего в 1981 году по сравнению с предыдущими годами резко сократилось число случаев возникновения пожаров на объектах просвещения. Вместе с тем на ряде объектов все еще имеет место безответственное отношение к проведению противопожарных мероприятий.

В 1981 году на объектах Министерства просвещения зарегистрировано 6 случаев возникновения пожаров, во время которых было уничтожено;

- здание Тамаконской начальной школы Гегечкорского района;
- старое здание Годоганской восьмилетней школы Тердждольского района;
- двухкомнатный финский домик Зубской средней школы Цагерского района, в котором размещались буфет и библиотека;
- две комнаты Садмельской средней школы Амбролаурского района.

Очаги пожаров возникли, также, в спальнях корпусах Качретской школы-интерната Гурджаанского района и специализированной школы-интерната им. К. Н. Леселидзе в г. Тбилиси.

По-прежнему в неудовлетворительном противопожарном состоянии работает ряд дошкольных учреждений. Органами пожарного надзора с целью предотвращения пожара было приостановлено функционирование детских садов № 34 г. Тбилиси (Кировский район), села Дуиси (Ахметский район), села Нанари (Лентехский район), сел Мухровани и Норйо (Гардабанский район), № 2 г. Амбролаури и др. Указанные детские сады размещены в зданиях, которые не удовлетворяют элементарным требованиям пожарной безопасности. В дошкольных учреждениях медленным темпом идет замена газовых плит на электрические.



Проверкой установлено, что на некоторых объектах отсутствуют предусмотренные табелем первичные средства пожаротушения, несвоевременно заряжаются огнетушители, в спальнях корпусов ряда школ-интернатов и детских домов вовсе не имеются огнетушители.

В целях пресечения случаев возникновения пожаров и дальнейшего укрепления пожарной безопасности коллегия Министерства просвещения Грузинской ССР

р е ш и л а:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов:

1. 1. Обеспечить выполнение Правил пожарной безопасности на подведомственных объектах, не оставлять без должного реагирования ни одного случая нарушения этих правил, принимать необходимые меры для исправления положения, иметь принципиальное суждение в отношении лиц, не обеспечивающих проведение противопожарных мероприятий.

1. 2. В соответствии с распоряжением Совета Министров СССР № 2243-р от 10 ноября 1981 года поставить вопрос перед местными советскими и партийными органами о строительстве дошкольных учреждений за счет части капитальных вложений, выделяемых для строительства промышленных и непромышленных объектов, а также о выделении средств и фондов для ремонта тех дошкольных учреждений, которые работают в пожароопасных условиях и закрытие которых требуют органы пожарного надзора.

2. Директорам школ, детских домов, школ-интернатов и заведующим детскими садами-яслями;

2. 1. Привести в полный порядок электрохозяйство; держать в постоянной готовности первичные средства пожаротушения; принять решительные меры для искоренения нарушений правил пожарной безопасности своевременно и точно обеспечивать выполнение указаний органов пожарного надзора.

2. 2. В период зимнего отопительного сезона особое внимание обратить на выполнение требований типовых правил пожарной безопасности, не допускать отопления помещений временными железными печами без разрешения органов пожарного надзора.

3. Главному управлению снабжения (т. Дзлиеришвили К.) представить в Министерство торговли ГССР заявку на выделение электроплит для дошкольных учреждений с таким расчетом, что-



бы в 1982 году полностью завершить замену газовых плит на электрические плиты.

4. Принять к сведению, что заведующие отделами народного образования Амбролаурского, Гегечкорского, Гурджаанского, Терджольского и Цагерского районов рассмотрели случаи возникновения пожаров на подведомственных объектах, строго наказав виновных в нарушении правил пожарной безопасности.

5. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Второй отдел (т. Г. Даниелов).

Председатель коллегии,
М и н и с т р О. Кинкладзе

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1981 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება



საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა
და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა
1982 წლის კალენდარული გეგმის შესახებ

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა 1982 წლის კალენდარული გეგმა (თან ერთვის).
2. განათლების სამინისტროს აღმზრდელითი მუშაობის სამმართველომ, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასობრივ და რესპუბლიკურ ღონისძიებათა კალენდარული გეგმა დაიყვანონ სკოლებამდე, სკოლამდე და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებამდე.
